2024 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის

გენდერული ანალიზი

დმანისის მუნიციპალიტეტი

2024 წელი

ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ "ეგერია სოლუშენსი" და შესაძლოა რომ არ გამოხატავდეს USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის, USAID-ის ან შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

ანგარიში მოამზადა - შორენა კახიძემ

შინაარსი

დოკუმენტის მომზადების მიზანი 6

დოკუმენტის მომზადების სამართლებრივი საფუძველი 6

დოკუმენტის მომზადების დოკუმენტური საფუძველი 6

მეთოდოლოგია 6

გენდერული ბიუჯეტირების არსი და მნიშვნელობა 7

გენდერული ბიუჯეტირების სამართლებრივი საფუძვლები მუნიციპალურ დონეზე 8

მუნიციპალიტეტის შესახებ 14

ზოგადი ინფორმაცია 14

ინსტიტუციური მოწყობა 15

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები 16

მუნიციპალიტეტის ასიგნებების ანალიზი 18

ინფრასტრუქტურა 20

სფეროს გენდერული მნიშვნელობა 20

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების გენდერული ანალიზი 27

დასუფთავება და გარემოს დაცვა 28

სფეროს გენდერული მნიშვნელობა 28

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების გენდერული ანალიზი 29

განათლება 30

სფეროს გენდერული მნიშვნელობა 30

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების გენდერული ანალიზი 31

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი 32

სფეროს გენდერული მნიშვნელობა 32

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების გენდერული ანალიზი 34

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 37

სფეროს გენდერული მნიშვნელობა 37

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების გენდერული ანალიზი 38

ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა 41

სფეროს გენდერული მნიშვნელობა 41

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების გენდერული ანალიზი 42
მიგნებები და რეკომენდაციები 42
მიგნებები 42
რეკომენდაციები 42
მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ხელისუფლებას - მერიას 43
მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ხელისუფლებას - საკრებულოს 44
გამოყენებული ლიტერატურა 46
დანართი 47

შემაჯამებელი მიმოხილვა

გენდერული თანასწორობის მისაღწევად ადგილობრივ თვითმმართველობებს უდიდესი როლი აკისრიათ, რადგან სწორედ მათ გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალებისა და კაცების კეთილდღეობა. ადგილობრივი თვითმმართველობა კარგ მმართველობას ვერ განახორციელებს, თუ სათანადო ყურადღებას არ დაუთმობს გენდერულ თანასწორობასა და ქალების გაძლიერებას.

მუნიციპალიტეტის ხელთ არსებული მზარდი ფინანსური რესურსებისა და ასევე მათთვის ექსკლუზიური უფლებამოსილების ფარგლებში განსაზღვრული საკითხების გათვალისწინებით, რომლებიც თავის მხრივ გენდერულად მნიშვნელოვან სფეროებს განეკუთვნება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გენდერული ანალიზის ჩატარება და მის ფარგლებში როგორც პოლიტიკის დოკუმენტების, ასევე თავად ბიუჯეტის განხილვა გენდერულ ჭრილში.

ანალიზისას, საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით ბიუჯეტის გენდერული მგრძნობელობა რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით შეფასდა: - ბიუჯეტში გათვალისწინებულია პროგრამა/ქვეპროგრამა „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა“; ბიუჯეტის დაგეგმარების ეტაპზე მოსახლეობასთან ჩატარებულ შეხვედრებში გათვალისწინებულია გენდერული ასპექტები, რაც საფუძვლად უდევს პრიორიტეტების დოკუმენტსა და ბიუჯეტს; პრიორიტეტების დოკუმენტში შესაბამისი პრიორიტეტული სფეროების ფარგლებში გამოკვეთილია გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული მიზნები; პრიორიტეტების შესაბამისად, ბიუჯეტში გათვალისწინებულია უშუალოდ ქალებზე/კაცებზე, მ.შ. სპეციალური საჭიროების მქონე, მოწყვლად ჯგუფებზე მიმართული შესაბამისი პროგრამა/ქვეპროგრამა; პრიორიტეტების შესაბამისად, ბიუჯეტში მოცემული პროგრამები/ქვეპროგრამები არის გენდერულად მგრძნობიარე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიუხედავად ბიუჯეტის დოკუმენტში გენდერული ასპექტების ასახვის ცალკეული ფრაგმენტული ხასიათისა, მუნიციპალიტეტის პოლიტიკის დოკუმენტები და ასევე ბიუჯეტი ვერ შეფასდება როგორც გენდერულად მგრძნობიარე დოკუმენტები, ვინაიდან მათში არ არის გათვალისწინებული გენდერული ასპექტები, შესაბამისად, გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკისა და გენდერულად მგრძნობიარე საჯარო ფინანსების მართვის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია ანალიზის ფარგლებში გამოკვეთლი მიგნებების საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინება.

დოკუმენტის მომზადების მიზანი

დოკუმენტის მომზადების მიზანია მუნიციპალიტეტის დონეზე საჯარო ფინანსების მართვის გენდერული მგრძნობელობის გაზრდის ხელშეწყობა.

დოკუმენტის მომზადების სამართლებრივი საფუძველი

- დმანისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება;
- დმანისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სტრატეგია;
- დმანისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმა.

დოკუმენტის მომზადების დოკუმენტური საფუძველი

- დმანისის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი;
- დმანისის მუნიციპალიტეტის 2024 – 2027 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის დოკუმენტი;
- დმანისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი;
- დმანისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროგრამული და კაპიტალური დანართები;
- დმანისის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი 2020-2023.

მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა მეორადი მონაცემების შესწავლის ანალიზი და ჩატარდა თვისებრივი ინტერვიუები.

მეორადი მონაცემების კვლევის ფარგლებში გაანალიზებულ იქნა გენდერული მიმართულების მრავალი დოკუმენტი, მათ შორის ის დოკუმენტები, რომლებიც, როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივ დონეზე, ქმნიან გენდერული ბიუჯეტირების სამართლებრივ საფუძვლებს. შესწავლილ იქნა პოლიტიკის დოკუმენტები: დმანისის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი. გაანალიზებულ იქნა 2024 წლის ბიუჯეტი, ბიუჯეტის პროგრამული და კაპიტალური დანართები. მეორადი მონაცემების კვლევის ფარგლებში ჩატარებული ანალიზი წარმოდგენილია შესაბამის თავში.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები დაინტერესებულ პირებთან. აღნიშნულის მიზანს წარმოადგენდა ახალი ინფორმაციის მოპოვება რეფორმის მიმდინარეობის შესახებ, არსებული საჭიროებების გამოვლენა, ასევე რეკომენდაციების შემუშავება. თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა თემატური ანალიზი. მიგნებები და რეკომენდაციები წარმოდგენილია შესაბამის თავში.

გენდერული ბიუჯეტირების არსი და მნიშვნელობა

გენდერული ბიუჯეტირება[1], როგორც პროგრამული ბიუჯეტირების შემადგენელი ნაწილი, აქტიურად განიხილება ინკლუზიური ზრდის[2] ხელშემწყობ საჯარო ფინანსების მართვის ინსტრუმენტად. შესაბამისად, ფისკალურ პოლიტიკასა და საჯარო ფინანსების მართვის პროცესში გენდერული მეინსტრიმინგი[3] ეტაპობრივად უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. საერთაშორისო დონეზე არსებობს არაერთი მტკიცებულება იმისა, რომ გენდერულ თანასწორობას შეუძლია ეკონომიკური ზრდის მხარდაჭერა. ამიტომაც არის, რომ გენდერული ბიუჯეტირება გენდერული თანასწორობისკენ მიმართული პოლიტიკისა და საბიუჯეტო სახსრების განაწილების შესაბამისობის საუკეთესო მექანიზმია. ეს, თავის მხრივ, გულისხმობს გენდერზე ორიენტირებული საბიუჯეტო პროცესის ფორმირებას, გენდერული თანასწორობის ასპექტების ჩართვას ქვეყნის საბიუჯეტო პროცესში და საბიუჯეტო რესურსების ისეთ განაწილებას, რომელიც ხელს შეუწყობს გენდერული პერსპექტივების ინტეგრირებას ყველა სფეროსა თუ სექტორში. საერთაშორისო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ გენდერული ბიუჯეტირების უპირატესობებს მიეკუთვნება: ეკონომიკური ზრდისა და კეთილდღეობის ამაღლება, კარგი მმართველობის დამკვიდრება, საჯარო პოლიტიკისა და სახელმწიფო დანახარჯების ეფექტიანობის ზრდა, გენდერული თანასწორობის მიღწევა, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის, საბიუჯეტო პროცესების, სტატისტიკისა და ინდიკატორების გაუმჯობესება და სხვ.

გენდერული თანასწორობის მისაღწევად ადგილობრივ თვითმმართველობებს უდიდესი როლი აკისრიათ, რადგან სწორედ მათ გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალებისა და კაცების კეთილდღეობა. ადგილობრივი თვითმმართველობა კარგ მმართველობას ვერ განახორციელებს, თუ სათანადო ყურადღებას არ დაუთმობს გენდერულ თანასწორობასა და ქალების გაძლიერებას. საკითხები, რომლებსაც ადგილობრივმა პოლიტიკამ შესაძლოა ხელი შეუწყოს მრავალფეროვანია და მოიცავს: ქალთა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათ მონაწილეობას, სოფლად მცხოვრებ ქალთა მხარდაჭერას, ქალების გენდერული ძალადობისგან დაცვას, სამართლებრივ აქტებში პირდაპირი ან არაპირდაპირი დისკრიმინაციის თავიდან არიდებას, მიზანმიმართული პოლიტიკითა და პროგრამებით ქალების პოზიციების გაუმჯობესებას, მათი განათლებისა და დასაქმების ხელშეწყობას და ა.შ. ეს მიდგომა უზრუნველყოფს გენდერული თანასწორობის პრინციპის ინტეგრირებას პოლიტიკის დაგეგმვაში და შესაძლებლობას, გაიზომოს ადგილობრივი პოლიტიკის პროგრესი გენდერული თანასწორობის მიღწევის გზაზე. ის იძლევა საშუალებას, დადგინდეს, თუ რა აატივობების განსახორციელებელი გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის თვალსაზრისით, დაიგეგმოს შესაბამისი ნაბიჯები, მოხდეს მათ განხორციელების მონიტორინგი და შეფასდეს მიღწეული შედეგები. ადგილობრივ დონეზე არსებული მმართველობის მოდელი, განსაკუთრებით კი ფისკალური პოლიტიკის სფეროში, თავის მხრივ, ხელს უწყობს ადგილობრივად გენდერული ბიუჯეტირების მიდგომის დანერგვას. საჯარო ფინანსების რეფორმის ფარგლებში, დეცენტრალიზაცია იძლევა გამჭვირვალობის დონის ამაღლების ფართო შესაძლებლობას და ამასთანავე, პოტენციურად უზრუნველყოფს ადგილობრივ დონეებზე მეტ ჩართულობას. ადგილობრივი მმართველობა უფრო პასუხისმგებლიანია საჯარო პოლიტიკისა და სერვისების მიწოდების საკითხებში. ადგილობრივი მმართველობების სიახლოვე მოსახლეობის ყოველდღიურობასთან იძლევა იმის თქმის

[1] ევროსაბჭოს (2009) განმარტებით, „გენდერული ბიუჯეტირება გულისხმობს გენდერული მეინსტრიმინგის გათვალისწინებას საბიუჯეტო პროცესში. ის გულისხმობს აგრეთვე ბიუჯეტის შეფასებას გენდერულ ჭრილში, გენდერული პერსპექტივის ინტეგრირებას საბიუჯეტო პროცესის ყველა დონეზე და შემოსავლებისა და ხარჯების განაწილებას გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის“.

[2] ფართო გაგებით, ინკლუზიური ზრდა ნიშნავს ეკონომიკური ზრდის შედეგად მიღებული კეთილდღეობის განაწილებას

[3] გენდერული მეინსტრიმინგი არის გენდერის, როგორც ანალიზის კატეგორიის, ინტეგრირების პროცესი პოლიტიკის შემუშავების ყველა საფეხურზე; ნებისმიერ სფეროში და მართვის ყველა დონეზე გენდერული თანასწორობის ხედვის სისტემატური გათვალისწინება გავლენების შეფასებისას შესაბამისი ქმედებების, მათ შორის, კანონმდებლობის, პოლიტიკებისა და პროგრამების დაგეგმვის/შემუშავების/ განხორციელების დროს.

საშუალებას, რომ ჩნდება შესაძლებლობა, პირდაპირ დაკმაყოფილდეს ქალთა და კაცთა საჭიროებები საჯარო პოლიტიკისა და სერვისების მიწოდების ფარგლებში. ამ დონეზე გენდერული ბიუჯეტირების მიდგომების გამოყენების დიდი რესურსი არსებობს, რაც თავისთავად მოიცავს ადგილობრივ მოსახლეობას[4].

გენდერული ბიუჯეტირების სამართლებრივი საფუძვლები მუნიციპალურ დონეზე

გენდერული ბიუჯეტირების აუცილებელ წინაპირობებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი შესაბამისი სამართლებრივი გარემოს არსებობაა. სამართლებრივ გარემოში მნიშვნელოვანია მიმოვიხილოთ შესაბამისი მარეგულირებელი ნორმები როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივ/ეროვნულ დონეზე.

საერთაშორისო დონეზე არსებულ სამართლებრივ მარეგულირებელ ნორმებზე საუბარი **გაეროს მდგრადი განვითარების SDG 2030** მიზნებით შეგვიძლია დავიწყოთ, ვინაიდან „დღის წესრიგი – 2030“ ხუთ ძირითად საკვანძო პრინციპს მოიცავს, რომელთაგან ერთ-ერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, „არავინ უნდა დარჩეს უყურადღებოდ – ყველას უნდა შეეძლოს შიმშილისა და სიღარიბის გარეშე ცხოვრება. არავინ უნდა დარჩეს პროცესებს მიღმა ან მოწყდეს სოციალურ განვითარებას“.

„დღის წესრიგი – 2030“ მე-5 მიზნის[5] ამოცანებიდან საინტერესოა ამოცანა (5.C), რომლის თანახმად, „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის, ქალებისა და გოგონების შესაძლებლობების მხარდაჭერისთვის ჯანსაღი პოლიტიკისა და შესაბამისი კანონმდებლობის მიღება – გაძლიერება“ უნდა განხორციელდეს. აღნიშნულის მისაღწევად კი ინდიკატორი 5.c.1 ზომავს, თუ რამდენად აქვს ქვეყანას დანერგილი სისტემა, იმისათვის რომ გაიზომოს გენდერულ თანასწორობასა და ქალების გაძლიერებაზე მიმართული საბიუჯეტო ასიგნებები და მათი საჯაროდ ხელმისაწვდომობა.

აღნიშნულთან დაკავშირებით ასევე უნდა ვახსენოთ **ადის-აბებას სამოქმედო პროგრამა განვითარების დაფინანსებისთვის[6],** რომელიც მოიცავს საკითხებს როგორც საბიუჯეტო პროცესში გენდერული ასპექტების გათვალისწინების, ასევე აღნიშნული მიმართულებით მუნიციპალიტეტების გაძლიერების თაობაზე.

აღსანიშნავია ასევე **პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა[7] [8]** ((BPfA) – ე.წ. „დღის წესრიგი ქალთა უფლებების გაძლიერებასთან დაკავშირებით“, როგორც გენდერული მეინსტრიმინგის განხორციელების სახელმძღვანელო დოკუმენტი,ქალთა თემატიკასთან დაკავშირებულ 12 მნიშვნელოვან სფეროს მოიცავს: ქალები და სიღარიბე; ქალთა განათლება და ტრენინგი; ქალები და ჯანდაცვა; ქალთა წინააღმდეგ ძალადობა; ქალები და შეიარაღებული კონფლიქტები; ქალები და ეკონომიკა; ქალები

[4] https://eige.europa.eu/gender-mainstreaming/tools-methods/gender-budgeting
[5] UN: Goal 5: Achieve gender equality and empower all women and girls, https://www.un.org/sustainabledevelopment/gender-equality/
[6] **https://sustainabledevelopment.un.org/index.php?page=view&type=400&nr=2051&menu=35**

[7] რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 1995 წელს
[8] Gender Equality in Ireland: http://www.genderequality.ie/en/GE/Pages/BeijingPlatform

ხელისუფლებასა და გადაწყვეტილების მიღებაში; ქალთა წინსვლის ინსტიტუციური მექანიზმები; ქალთა უფლებები; ქალები და მედია; ქალები და გარემო; გოგოები.

პეკინის სამოქმედო პლატფორმიდან აღსანიშნავია შემდეგი ჩანაწერი: თავი VI[9] „ფინანსური შეთანხმებები: 345 სამოქმედო პლატფორმის სრული და ეფექტური განხორციელება მოითხოვს პოლიტიკისა და პროგრამების შესახებ საბიუჯეტო გადაწყვეტილებების პროცესში გენდერული საკითხების ინტეგრირებას, ისევე, როგორც ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის პროგრამების ადეკვატურ დაფინანსებას“.

მნიშვნელოვან ჩანაწერებს მოიცავს ასევე **„ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ“** ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭო (CEMR)[10] [11]. ქარტიის თანახმად, „ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლება სრულად უნდა ითვალისწინებდეს გენდერულ ასპექტებს თავის პოლიტიკაში, ორგანიზაციასა და პრაქტიკაში. დღევანდელ და მომავლის მსოფლიოში მამაკაცებს და ქალებს შორის რეალურ თანასწორობას ეკონომიკური და სოციალური წარმატებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს – არა მხოლოდ ევროპულ ან ეროვნულ დონეზე, არამედ რეგიონებში, ქალაქებსა და ადგილობრივ თემებში“.

ქარტიის პრინციპებში განსაზღვრულია, რომ: „აუცილებელია გენდერული პერსპექტივის გათვალისწინება იმ წესების, მეთოდებისა და ინსტრუმენტების შედგენისას, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიურობაზე ახდენს გავლენას. მაგალითად, „გენდერული მეინსტრიმინგის“ და „გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირების“ გამოყენება. ამ მიზნით უნდა გაანალიზდეს და გაითვალისწინონ ქალთა გამოცდილება ადგილობრივ ცხოვრებაში, მათ შორის, საცხოვრებელი და სამუშაო პირობები; შესაბამისად, უზრუნველყოფილი სამოქმედო გეგმები და პროგრამები ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის ზრდის აუცილებელი ინსტრუმენტია; ადგილობრივმა და რეგიონულმა ხელისუფლებამ უნდა შეიმუშაოს თანასწორობის სამოქმედო გეგმები და პროგრამები, სათანადო ფინანსური და ადამიანური საშუალებებით და მათი განხორციელებისთვის საჭირო რესურსით“.

გენდერული თანასწორობის მისაღწევად ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების როლზე საუბრობს ასევე **„პარიზის ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების გლობალური დღის წესრიგი ქალისა და კაცის თანასწორობისთვის ადგილობრივ ცხოვრებაში“**. აღნიშნული დოკუმენტი შემუშავდა „ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებში არჩეულ ქალთა გლობალურ კონფერენციაში“ მონაწილე მხარეთა მიერ და გენდერული თანასწორობის მისაღწევად ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების როლს შეეხება. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ადგილობრივი საჯარო პოლიტიკის დღის წესრიგის ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი სწორედ ქალთა და მამაკაცთა თანასწორობა უნდა იყოს – ადეკვატური სერვისების უზრუნველსაყოფად. თავის მხრივ, ეს ხელს შეუწყობს ქალთა გაძლიერებას და გაუმჯობესებს მათ მდგომარეობას. საჯარო სერვისების განვითარების ერთ-ერთ გზად, მართვისა და მონიტორინგის პროცესში ქალთა ჩართულობა, დაგეგმარებასა და ბიუჯეტირებაში მათი საჭიროებების გათვალისწინება და ასახვა განისაზღვრება.

---

[9] UN: Beijing Declaration and Platform for Action: https://www.un.org/en/events/pastevents/pdfs/Beijing_Declaration_and_Platform_for_Action.pdf

[10] CEMR: „ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ“: https://www.ccre.org/img/uploads/piecesjointe/filename/charte_egalite_geo.pdf

[11] „ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ'' ევროპულ ქარტიაზე ხელმომწერი მუნიციპალიტეტები https://gender.nala.ge/%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%9A-%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94-%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98

„ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის“[12] (სტამბოლის კონვენცია) მე-8 მუხლის „ფინანსური რესურსები“ თანახმად კი, „მხარეები გამოყოფენ შესაბამის ფინანსურ და ადამიანურ რესურსებს კომპლექსური პოლიტიკის, ზომებისა და პროგრამების, მათ შორის, ისეთების, რომლებიც ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების მიერ, ადეკვატური განხორციელებისათვის ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ყველა ფორმის პრევენციისა და აღკვეთის მიზნით“.

„ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ (The Convention on the Elimination of all Forms of Discrimination Against Women, შემოკლ. CEDAW) კონვენციის[13] თანახმად, ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტების მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ მამაკაცისა და ქალის თანასწორი უფლება ისარგებლონ ყველა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებით.

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტი მიუთითებს ხელისუფლების ყველა დონის, მათ შორის, მუნიციპალიტეტების, მიერ, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის ეფექტიანი აღსრულების აუცილებლობაზე. კომიტეტი აქცენტს აკეთებს ამ პროცესში ყველა რელევანტური უწყების, მათ შორის, ადგილობრივი ხელისუფლების, მიერ მდგრადი მხარდაჭერის მიღების აუცილებლობაზეც, რომელთა შორისაცაა, საკმარისი ფინანსური, ადამიანური და ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფა[14].

დამატებით, კომიტეტი გენდერული თანასწორობისა და გენდერული მეინსტრიმინგის მიმარ თულებით მუშაობის პროცესის ერთერთ მნიშვნელოვან მიმართულებად მიიჩნევს ხელისუფლების სხვადასხვა დონეს შორის კოორდინაციის საკითხს[15]. კომიტეტის მითითებით, დასახული მიზნების მისაღწევად და ამოცანების განსახორციელებლად უწყებათაშორისი კოორდინაცია, მათ შორის, ლოკალურ და ცენტრალურ ხელისუფლებებს შორის სისტემატური და ინსტიტუციონალიზებული უნდა იყოს[16].

ევროპის საბჭოს კონგრესის გენდერული ბიუჯეტირების შესახებ რეზოლუცია[17] (Congress of the Council of Europe’s Resolution on Gender budgeting) რეკომენდაციას უწევს გენდერული ბიუჯეტირების დანერგვას ადგილობრივ და რეგიონულ ბიუჯეტებში.

გენდერულ ბიუჯეტირებაზე საუბრისას ასევე უნდა შევეხოთ უშუალოდ საჯარო ფინანსების მართვის პროცესთან დაკავშირებით არსებულ მარეგულირებელ ნორმებსაც, ვინაიდან როგორც უკვე აღინიშნა,

[12] https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0
[13] https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5691899?publication=0
[14] Committee on the Elimination of Discrimination against Women, Concluding observations on the combined eighth and ninth periodic reports of Sweden, CEDAW/C/SWE/CO/89, 2016, პარა. 19.
[15] Committee on the Elimination of Discrimination against Women, Concluding observations on the ninth periodic report of Mexico, CEDAW/C/MEX/CO/9, 2018, პარა. 15; Committee on the Elimination of Discrimination against Women, Concluding observations on the combined fifth and sixth periodic reports of Estonia, CEDAW/C/EST/CO/56, 2016, პარა. 13.
[16] იქვე.
[17] რეზოლუცია 405 (2016) გენდერული ბიუჯეტირების შესახებ, ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებათა კონგრესი. ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/1680718ce9

გენდერული ბიუჯეტირება თავის თავში გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ საკითხებსა და საჯარო ფინანსების მართვას აერთიანებს.

ამ მხრივ საინტერესოა საერთაშორისო დონეზე **საჯარო ფინანსების გენდერული მგრძნობელობის შეფასების მეთოდოლოგია**[18] **(GRPFM – Gender Responsive Public Financial Management),** რომელიც გენდერულად პასუხისმგებლობიანი საჯარო ფინანსების პრაქტიკულად განხორციელების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას ემსახურება. კერძოდ, ცდილობს, შეაგროვოს ინფორმაცია, რამდენად შეესაბამება ქვეყნის საჯარო ფინანსების მართვის სისტემა ხელისუფლების მიზნებს – აღიაროს ქალებისა და კაცების განსხვავებული საჭიროებები და ხელი შეუწყოს გენდერულ თანასწორობას.

გარდა საერთაშორისო ნორმებისა, გენდერულ ბიუჯეტირებაზე საუბრისას ასევე მნიშვნელოვანია **ადგილობრივ/ეროვნულ დონეზე არსებული მარეგულირებელი ნორმების** მიმოხილვაც. ვინაიდან გენდერული ბიუჯეტირება აერთიანებს გენდერულ თანასწორობას და საჯარო ფინანსების მართვას, საინტერესოა ადგილობრივ კანონმდებლობაში არსებული ჩანაწერები, ერთი მხრივ, საჯარო ფინანსების მართვის და მეორე მხრივ, გენდერული თანასწორობის შესახებ.

კერძოდ, **საქართველოს კონსტიტუციის** მე-11 მუხლის „თანასწორობის უფლება“ მე-3 პუნქტის თანახმად, „სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისთვის. სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად“.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ თანახმად, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით, რიგ საკითხებთან ერთად, განახორციელოს ღონისძიებები გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მიზნებით. ამავე ორგანული კანონის მიხედვით, „საერთო კრების საქმიანობაში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ქალისა და მამაკაცის თანასწორი მონაწილეობის შესაძლებლობა“.

საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“ ადგენს ქალისა და მამაკაცის საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფის ძირითად გარანტიებს, განსაზღვრავს საზოგადოებრივი ცხოვრების შესაბამის სფეროებში მათი განხორციელების სამართლებრივ მექანიზმებსა და პირობებს. აღნიშნული კანონის მიხედვით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები, მუნიციპალური პროგრამები და გეგმები იმგვარად უნდა შემუშავდეს, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია. ამავე კანონის მიხედვით, გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით ოფიციალურ სტატისტიკურ ანგარიშებში შეიტანება სქესის ნიშნით განცალკევებული მონაცემები.

საქართველოს კანონის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ მიხედვით, სახელმწიფო ხელს უწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმებას საჯარო და კერძო სექტორებში შესაბამისი სამოქმედო გეგმებისა და პროგრამების შემუშავებით, რაც, სხვა ღონისძიებებთან ერთად, შეიძლება გულისხმობდეს დამსაქმებლისათვის საშეღავათო მექანიზმების დანერგვას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სპეციალურ მომზადება-გადამზადებას, გარემოს ადაპტირებას, დამსაქმებლის მიერ ინიცირებული პროგრამის ფინანსურ ხელშეწყობასა და სხვა შეღავათებს.

[18] https://www.pefa.org/gender

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 ნოემბრის განკარგულება №2328 **„მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტის თაობაზე“** დოკუმენტის ფარგლებში, გენდერული თანასწორობის მისაღწევად შემუშავებულია საქართველოსთვის მისადაგებული ამოცანები, ინდიკატორები და შესაბამისი მაჩვენებლები.

ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, **ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ** შეთანხმების თანახმად, თანამშრომლობა, რომელიც დაფუძნებულია ინფორმაციის გაცვლასა და საუკეთესო გამოცდილებაზე, შესაძლოა, მოიცავდეს გარკვეულ საკითხებს ისეთი სფეროებიდან, მაგალითად, როგორიც არის თანაბარი შესაძლებლობები და ანტიდისკრიმინაცია, რომელიც მიზნად ისახავს გენდერული თანასწორობის გაძლიერებას და მამაკაცსა და ქალს შორის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას, ასევე, სქესის, რასობრივი ან ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიის ან მრწამსის, შეზღუდული შესაძლებლობის, ასაკის ან სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლას, სოციალური პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს სოციალური უსაფრთხოებისა და სოციალური დაცვის სისტემების გაძლიერებას, თანასწორობის, ხელმისაწვდომობისა და ფინანსური მდგრადობის კუთხით.

„მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის №264 განკარგულების ფარგლებში შემუშავებული მეთოდოლოგიური დოკუმენტის მიხედვით განვითარების გენდერული ასპექტები, გენდერული საჭიროებები გათვალისწინებული უნდა იქნას პოლიტიკის დაგეგმვის ყველა ეტაპზე.

„დეცენტრალიზაციის 2020–2025 წლების სტრატეგიისა და დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის №678 დადგენილების თანახმად, 2020-2025 წლების დეცენტრალიზაციის სტრატეგიის ერთ-ერთ პრინციპად გენდერული თანასწორობაა მითითებული, რომელიც განიმარტება, როგორც დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განხორციელების პროცესში ქალისა და მამაკაცის თანასწორი მონაწილეობა. აქვე აღსანიშნავია დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა, რომელიც თავის თავში ითვალისწინებს ადგილობრიც დონეზე გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას, ასევე ადგილობრივ დონეზე საჯარო ფინანსების მართვის სისტემის სრულყოფის მიზნით PEFA და Gender PEFA შეფასებების ჩატარებას.

საქართველოს პარლამენტის დადგენილებით დამტკიცებული **„საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2022-2030 წლებისთვის“** დოკუმენტის მიხედვით[19] ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება გენდერული თანასწორობა, ქალთა უფლებები და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაა, რომლის ფარგლებშიც მთელი ქვეყნის მასშტაბით ხელშესახები ცვლილებების განსახორციელებლად, სტრატეგია უზრუნველყოფს ეფექტიანი ღონისძიებების გატარებას როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე, ასევე, გენდერული თანასწორობის ხელშემწყობი მექანიზმების გაძლიერებას.

„პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანებაში 2015 წელს შესული ცვლილების თანახმად: „სპეციფიკის გათვალისწინებით, საჭიროებიდან გამომდინარე, გენდერულად სენსიტიურ პროგრამებთან/ქვეპროგრამებთან/ღონისძიებებთან მიმართებაში სასურველია ერთ-ერთ ინდიკატორად მიეთითოს პროგრამის/ქვეპროგრამის/ღონისძიების გენდერულ ასპექტში შეფასების ინდიკატორი”. აღნიშნული მეთოდოლოგია 2012 წლიდან სახელმწიფო ბიუჯეტის, ხოლო 2013 წლიდან ავტონომიური

[19] https://matsne.gov.ge/ka/document/view/5757268?publication=0

რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით შედგენაზე ვრცელდება. შესაბამისად, 2015 წელს განხორციელებული ცვლილება როგორც სახელმწიფო, ასევე ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებსაც ეხება.

მუნიციპალურ დონეზე საჯარო ფინანსების მათვის სისტემაში გენდერული ასპექტების გათვალისწინებაზე აქცენს ასევე აკეთებს **საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2023-2026 წლების სტრატეგია[20].** დოკუმენტის მიხედვით, გენდერული ასპექტების გათვალისწინებისთვის მიზანშეწონილია ბიუჯეტირებაში გენდერული ასპექტების გათვალისწინების მიზნით ბიუჯეტის მართვის სისტემაში გენდერული კავშირების (gender tag) სისტემის ჩაშენება, რაც შესაძლებელს გახდის: საბიუჯეტო პროცესში გენდერული ასპექტების გათვალისწინებას; ბიუჯეტირების პროცესში გენდერული ასპექტების გავლენის გაანალიზებას გენდერული თანასწორობის ჭრილში; მომსახურების მიწოდების ტიპის პროგრამებშისქესის მიხედვით მონაცემების ასახვას და გენდერული გავლენის ანალიზს; მომსახურების მიწოდების ტიპის პროგრამებში სქესის ნიშნით ჩაშლილი მონაცემების შეგროვებას; წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ გენდერული ასპექტების ზედამხედველობას; წარმომადგენლობით ორგანოების მიერ გენდერულად მგძნობიარე ანგარიშების შედგენას.

მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2024-2027 წლების სამოქმედო გეგმა[21], რომლის თანახმადაც, გენდერული ბიუჯეტირების დანარგვის მიზნით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დოკუმენტის გენდერული ანალიზი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილებით დამტკიცებული **„საქართველოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციის“** თანახმად[22], გენდერული თანასწორობის მიღწევის ძირითადი მიმართულებები და ღონისძიებებს შორის არის სახელმწიფო სტრატეგიისა და პოლიტიკის დოკუმენტებში, აგრეთვე ცენტრალურ ბიუჯეტსა და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში გენდერული ასპექტების გათვალისწინება, მათ შორის, მიზნობრივი პროგრამებისა და ინსტიტუციური გაძლიერების მიმართულებით.

საქართველოს პარლამენტის დადგენილებით დამტკიცებულ **„ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფციის“[23]** დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ ვინაიდან გენდერულად მგრძნობიარე სახელმწიფო პოლიტიკა, მათ შორის, ეკონომიკური პოლიტიკა, არსებითი თანასწორობის უზრუნველყოფის აუცილებელი წინაპირობაა, მიზანშეწონილია საკანონმდებლო და სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების პროცესში გენდერული მეინსტრიმინგის ისეთი ინსტრუმენტების გამოყენება, როგორიცაა გენდერული ზეგავლენის შეფასება და საბიუჯეტო პროცესში გენდერული თანასწორობის საკითხების ინტეგრირება.

გარდა ამისა, საერთაშორისო სტანდარტები მიუთითებენ კიდევ ორ მნიშვნელოვან ვალდებულე ბაზე, რომლებიც არსებით ზეგავლენას ახდენენ გენდერული თანასწორობისა და გენდერული მეინსტრიმინგის პოლიტიკაზე:

• სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება სახელმწიფომ ნებისმიერ სექტორთან მიმართებით უნდა დაამუშაოს სქესის მიხედვით ჩაშლილი მონაცემები და ის ხელმისაწვდომი გახადოს დაინტერესებული

[20] https://www.mof.ge/5171

[21] https://www.dmanisi.gov.ge/sakrebulo/genderuli-tanastsorobis-sabtcho

[22] https://matsne.gov.ge/ka/document/view/5664358?publication=0

[23] https://matsne.gov.ge/ka/document/view/5755428?publication=0

პირებისათვის/მხარეებისთვის[24]. საბოლოო ჯამში, ამგვარი სტატისტიკა სახელმწიფოს დაეხმარება, ერთი მხრივ, არსებული პოლიტიკის ქალებზე ზეგავლენის შესა ფასებლად, ხოლო, მეორე მხრივ, არსებული საჭიროებების გამოსაკვეთად და მიზნობრივი ღონისძიებების დასაგეგმად.

• მონაწილეობის გარანტირება ეს მიმართულება ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული პარადიგმის განუყოფელი ნაწილია. საერთაშორისო სტანდარტები ცალსახად მიუთითებენ იმაზე, რომ სახელმწიფოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ქალთა მონა წილეობას შესაბამისი უწყებების მიერ გადაწყვეტილების მიღების, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში.18 ამ მიმართულებით, გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირების პროცესი და მისი ინკლუზიურობა ერთერთი არსებითი საკითხია[25].

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად[26], როგორც კანონის, ასევე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის განმარტებითი ბარათი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე პროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შესახებ. ნორმატიული აქტის მიღებით გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე ზეგავლენის მოხდენა მოსალოდნელია იმ შემთხვევაში, თუ, ნორმატიული აქტის პროექტის ავტორის/ინიციატორის მოსაზრებით: დგინდება ახალი ან/და სპეციფიკური უფლებები, ვალდებულებები ან შესაძლებლობები, რომლებიც ნორმატიული აქტის მიღების შემდეგ გაუჩნდება ქალს ან მამაკაცს დიფერენცირებულად ან/და უთანასწოროდ; ხორციელდება ცვლილებები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამომდინარეობს ნორმატიული აქტის პროექტიდან და უთანასწოროდ ზღუდავს ან უწყობს ხელს ქალისთვის ან მამაკაცისთვის განათლების, დასაქმების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური დაცვის, ძალადობისგან დაცვის, შემოსავლებისა და სხვა სიკეთის, აგრეთვე სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის დიფერენცირებულ ან/და უთანასწორო ხელმისაწვდომობას; ნორმატიული აქტის პროექტს აქვს ქალისა და მამაკაცის სამართლებრივ ან ფაქტობრივ თანასწორობაზე სხვა მოსალოდნელი გავლენა.

მუნიციპალიტეტის შესახებ

ზოგადი ინფორმაცია

დმანისის მუნიციპალიტეტის ფართობი მთლიანი ქვეყნის ფართობის (69700 კვ.კმ) 1,7%-ს შეადგენს, შესაბამისად მუნიციპალიტეტის ტერიტორია არის 1198.8 კმ², მუნიციპალიტეტში 58 დასახლებული პუნქტია, მ.შ. 1 ქალაქი და 57 სოფელია. 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობა შეადგენდა მთლიანი საქართველოს მოსახლეობის 0.6 პროცენტს - 19141 ადამიანს, აქედან 9562 ქალი, 9579 კაცი.ქალაქში რეგისტრირებულია 2661 პირი, აქედან ქალი - 1276, კაცი - 1385, ხოლო სოფლებში რეგისტრირებული 16480 პირი - 7944 კაცი, 8536 ქალი.

0-14 წლის მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში 20.9 პროცენტია, შრომისუნარიან ასაკში მყოფი მოსახლეობის (15-64 წლის ასაკობრივი ჯგუფი) წილი – 62.0 პროცენტი, ხოლო 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი 17.1 პროცენტია.

[24] Committee on the Elimination of Discrimination against Women, General recommendation No. 9: Statistical data concerning the situation of women, 1989.
[25] Report of the Working Group on the issue of discrimination against women in law and in practice, A/HRC/35/29, 2017, პარა. 31.
[26] https://matsne.gov.ge/document/view/90052?publication=37

მოსახლეობის 65.5 პროცენტი 12 537 პირი ეთნიკურად აზერბაიჯანელია, ეთნიკურად ქართველია მოსახლეობის 33.1 პროცენტი - 6,336 პირი, ეთნიკურად სომეხია 0.4 პროცენტი - 87 პირი, ეთნიკურად რუსია 0.3 პროცენტი - 67 პირი, ეთნიკურად ბერძენია 0.5 პროცენტი - 96 პირი (და სხვა - 172 (0,9%)).

ახალგაზრდობის ჭრილში მოსხლეობის რიცხოვნობა: 15-19 წლამდე - 1,286 ადამიანი, (ბიჭი 716 , გოგო 570), 20-24 წელი - 1,183, ადამიანი (ბიჭი 684, გოგო 499), 25-29 წელი - 1,284 (ბიჭი 694, გოგო 590).

2022 წლის მონაცემებით, დასაქმებულთა რაოდენობა ბიზნეს სექტორში არის 0.9 ათასი კაცი, დასაქმებულთა საშუალოთვიური ხელფასი ბიზნეს სექტორში შეადგენს 992.2 ლარს, რეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობაა 3233 ერთეული, ზომების მიხედვით რეგისტრირებულ მოქმედ სუბიექტთა რაოდენობა ძირითადად მოდის მცირე ზომის სუბიექტებზე, რაც შეეხება რეგისტრირებულ სუბიექტთა რაოდენობას ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით, აღნიშნულის ძირითადი ნაწილი „საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი“-ს სახეზე მოდის. მუნიციპალიტეტში მოქმედი ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა 1064 ერთეულია, ახლადრეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა შეადგენს 684 ერთეულს.

ინსტიტუციური მოწყობა

მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება 30 წევრისგან. მ.შ. 6 ქალი, 24 კი კაცია. რაც შეეხება მენეჯერულ პოზიციებზე მყოფი პირების გენდერულ გადანაწილებას, საკრებულოს თავმჯდომარე და მისი 3 მოადგილე კაცია, სხვა მენეჯერულ პოზიციებზე კი 3 ქალია წარმოდგენილი და 11 კაცი.

მერიის სტრუქტურაზე უნდა აღინიშნოს რომ, მერი და მისი 3 მოადგილე კაცია.

გენდერული თანასწორობის პოლიტიკის მიმართულებით, მერიაში საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში გამოყოფილ პირი არის გენდერზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც არის ქალი და რომლის სამუშაო აღწერილობაში გაწერილია გენდერულ თემატიკასთან დაკაშირებული საკითხები.

მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს გენდერული შემადგენლობა კი შემდეგია: საბჭოს თავმჯდომარე არის საკრებულოს თავჯდომარე და არის კაცი, პირველი მოადგილე არის კაცი, ხოლო მეორე მოადგილე არის ქალი, საბჭოს მდივანიც არის ქალი. საბჭოს წევრებიდან 13 ქალია, ხოლო 6 კაცი.

გენდერული თანასწორობის საბჭოს აქვს დებულება, რომელიც საკრებულოს 2017 წლის 18 აგვისტოს #17 დადგენილებით არის დამტკიცებული. ასევე საბჭოს აქვს საკრებულოს განკარგულებით დამტკიცებული 2024-2027 წლების სამოქმედო გეგმა.[27]

ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის 2023 წლის მაჩვენებლის მიხედვით[28] გენდერული თანასწორობის საბჭო 30 პროცენტით არის შეფასებული, კერძოდ კი სისრულის შეფასების ნაწილში საბჭო აკმაყოფილებს მხოლოდ ქულა 1-ის შესაბამის პირობას, კერძოდ კი: 1) ბოლო ერთი წლის მანძილზე გამოქვეყნებულია გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომების 50%-მდე ოქმი; 3) საბჭოს მოქმედ შემადგენლობაში წარმოდგენილია სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები.

2021 წლის შეფასების მიხედვით გენდერული თანაწორობის საბჭოს მაჩვენებელი არ ფიქსირდება, შეფასება მოცავს მხოლოდ რეკომენდაციას „ყოველწლიურად ჩატარდეს და გამოქვეყნდეს გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომების 91-100%-ის ოქმები; ასევე, საბჭოს დებულებით საბჭოს შემადგენლობაში სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების რაოდენობა განისაზღვროს

[27] დოკუმენტები საჯაროა და ხელმისაწვდომია https://dmanisi.gov.ge/sakrebulo/genderuli-tanastsorobis-sabtcho
[28] http://www.lsgindex.org/e/cityanalyse/viewonepar/229/?city_id=34&est_obj_id=4

არანაკლებ საბჭოს შემადგენლობის 1/3-ით და საბჭოს მოქმედი შემადგენლობა აკმაყოფილებდეს აღნიშნულ პირობას“.

2023 წლის მდგომარეობით თუ ვიმსჯელებთ, საბჭოს 23 წევრიდან სამოქალაქო საზოგადოებიდან მხოლოდ ერთი პირია, არასამთავრობო ორგანიზაცია „პირველი ევროპელი“-ს წარმომადგენელი.

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

როგორც ცნობილია, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია განახორციელოს ღონისძიებები, რომელთა მიზანია: დასაქმების ხელშეწყობა, სოფლის მეურნეობის (მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის) მხარდაჭერა, ტურიზმის განვითარება, სოციალური დახმარება, სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელ ორგანოსთან კოორდინაციით – ჯანმრთელობის დაცვა, აგრეთვე ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობა, ბავშვის დაცვა და მხარდაჭერა, მასობრივი სპორტის ხელშეწყობა, გარემოს დაცვა, საზოგადოებრივი განათლების, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენცია, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და დახმარება, ადგილობრივი მნიშვნელობის არქივის წარმოება, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინვესტიციების მოზიდვა, ინოვაციური განვითარების მხარდაჭერა და ა.შ.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის პოლიტიკის დოკუმენტების მიხედვით გამოკვეთილი პრიორიტეტული მიმართულებების შესწავლა. ამ მხრივ აღსანიშნავია პოლიტიკის შემდეგი დოკუმენტები:

- **დმანისის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი 2020-2023**, რომელიც წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მიზნით მტკიცებულებებზე დაფუძნებულ საშუალოვადიან სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითად გეგმას, რომელიც ასახავს ადგილობრივ ხედვას, მიზნებს, ამოცანებს, მათი მიღწევის კონკრეტულ მექანიზმებს. დოკუმენტის მიხედვით, მუნიციპალიტეტის ხელისუფლების მიერ განვითარების შემდეგი მიზნებია დასახული:
    - **ადგილობრივი ეკონომიკის განვითარება და ბიზნესის ხელშეწყობა ეფექტური სერვისების უზრუნველყოფით და მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნით** - აღნიშნული აერთიანებს ისეთ ამოცანებს, როგორებიც არის: ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა; ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა; ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა; სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა; ბიზნესის საკონსულტაციო ცენტრის შექმნალ მუნიციპალიტეტის საინვესტიციო პოტენციალის წარმოჩენა ინვესტიციების მოზიდვის სტიმულირების მიზნით;
    - **მოსახლეობისათვის საცხოვრებლად უსაფრთხო და ხელსაყრელი გარემოს შექმნა - აღნიშნული აერთიანებს ისეთ ამოცანებს, როგორიც არის:** მუნიციპალიტეტის საგზაო ინფრასტრუქტურისა და მიწისქვეშა კომუნიკაციების (სასმელი წყლის, საკანალიზაციო და სანიაღვრე) მოწყობა/რეაბილიტაცია; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის ხელშეწყობა; სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; კულტურისა და სპორტის სფეროს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
    - **მუნიციპალიტეტში გარემოს დაცვითი საქმიანობების ხელშეწყობა** - აღნიშნული აერთიანებს ისეთ ამოცანებს, როგორებიც არის: გამწმენდი ნაგებობების მოწყობა და საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგება; ქარსაცავი ზოლების აღდგენა/გაშენიანება; მყარი ნარჩენების მართვის გაუმჯობესება.

აღსანიშნავია, რომ დოკუმენტის მიხედვით, განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად აქტივობების დაგეგმვისას გათვალისწინებული იქნება გენდერული ასპექტები და ხელი შეეწყობა გენდერული თანასწორობის დამყარებას.

- **დმანისის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, ასევე 2024 – 2027 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის დოკუმენტის მიხედვით საშუალოვადიან პერიოდში ჩამოყალიბდა მუნიციპალიტეტის განვითარების შემდეგი ძირითადი მიმართულებები - ინფრასტრუქტურა; დასუფთავება და გარემოს დაცვა; განათლება; კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.**

რაც შეეხება პრიორიტეტების დაფინანსებას საშუალოვადიან პერიოდში, აღნიშნული მზარდი ტენდენციით ხასიათდება, რაც დეტალურად შემდეგ დიაგრამაზე არის გამოსახული.



დიაგრამა #1. წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. დმანისის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები 2024-2027 წელი (ათასი ლარი)

როგორც დიაგრამიდან ჩანს, საშუალოვადიან პერიოდში პრიორიტეტებს შორის ყველაზე მეტი ასიგნებები ინფრასტრუქტურის განვითარებაზე იქნება მიმართული, შემდეგ ასიგნებების მიხედვით მნიშვნელოვანი თანხები ნაწილდება კულტურა, ახალგაზრდობისა და სპორტის მიმართულებაზე.

მუნიციპალიტეტის ასიგნებების ანალიზი

დმანისის მუნიციპალიტეტის ასიგნებები მთლიანი მუნიციპალიტეტების[29] ასიგნებების საშუალოდ 0.6 პროცენტს შეადგენს, მ.შ. 2023 წლის დეკემბერში დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, დმანისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს 19,988.8 ათას ლარს.



დიაგრამა #2. წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. დმანისის მუნიციპალიტეტის ასიგნებები 2018-2024 წელი (ათასი ლარი)

ასიგნებების გადანაწილება პრიორიტეტების მიხედვით შემდეგია:



[29] 69 მუნიციპალიტეტი, მ.შ. 5 თვითმმართველი ქალაქი

დიაგრამა #3. წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. დმანისის მუნიციპალიტეტის ასიგნებები 2024 წელი (ათასი ლარი)

როგორც დიაგრამიდან ვხედავთ, მთლიანი ასიგნებების 25 პროცენტი ინფრასტრუქტურის განვითარებაზე მოდის, შემდეგია კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი, ასევე დასაფთავების და გარემოს დაცვის მიმართულება, რაც შეეხება ასიგნებების მიხედვით შემდეგ განაწილებას, განათლებაზე და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე მოდის.

რაც შეეხება მუნიციპალიტეტის შესაბამისი ფინანსების გადანაწილებას ე.წ. ფუნქციონალური კლასიფიკაციის ჭრილში[30].

ფუნქციონალური კლასიფიკაციის კოდი		2022 ფაქტი	2023 გეგმა	2024 გეგმა
7	**მთლიანი ხარჯები**	**24,872.4**	**27,735.3**	**19,988.8**
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	4,263.8	5,227.9	5,802.7
702	თავდაცვა	114.5	137.0	0.0
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0.0	0.0	0.0
704	ეკონომიკური საქმიანობა	2,665.9	3,815.8	260.0
705	გარემოს დაცვა	987.7	1,590.0	2,840.1
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	12,643.4	11,730.0	4,694.9
707	ჯანმრთელობის დაცვა	73.7	107.5	118.3
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1,397.3	1,937.6	2,885.0
709	განათლება	1,513.3	2,016.7	1,822.6
710	სოციალური დაცვა	1,212.8	1,172.8	1,565.2

ცხრილი #1. წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. დმანისის მუნიციპალიტეტის ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია 2022-2024 წლებში, ათასი ლარი

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2024 წლის მონაცემების მიხედვით ხელისუფლების ფუნქციებიდან (გარდა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებისა)[31] ყველაზე მეტად ფინანსდება საბინაო-კომუნალური მეურნეობა, რომლის ფარგლებშიც ბინათმშენებლობაზე (ფუნქციონალური კოდი 7061) 1438,6 ათასი ლარია მიმართული, ასევე 1000,0 ათასი ლარით დაფინანსდება წყლის სისტემების განვითარება.

ხელისუფლების ფუნქციებიდან შემდეგი მიმართულებაა „დასვენება, კულტურა და რელიგია“, რომლის ფარგლებშიც დაფინანსების 61 პროცენტი „კულტურის სფეროში მომსახურება“-ზე მოდის (ფუნქციონალური კოდი 7082). გარემოს დაცვის მიმართულებაში დაფინანსების 76 პროცენტი „ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება“-ზე (ფუნქციონალური კოდი 7051) მოდის. განათლებაში ძირითადად (89 პროცენტი) ფინანსდება სკოლამდელი განათლების მიმართულება.

[30] ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიზნებისათვის ტერმინში „ფინანსები“ გაერთიანებულია ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამი. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელოს 2014 (GFSM 2014) მიხედვით ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია წარმოგვიდგენს ინფორმაციას სამთავრობო ფუნქციებისა და მიზნების მიხედვით გაწეული დახარჯების შესახებ.

[31] ვინაიდან აღნიშნული მოიაზრებს „7011 აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები“ და „7016 ვალთან დაკავშირებული ოპერაციები“ ანალიზისას არ იქნა გათვალისწინებული.

ინფრასტრუქტურა

სფეროს გენდერული მნიშვნელობა

როგორც კვლევები აჩვენებს, არსებობს დიფერენცირებული ხელმისაწვდომობა კაცებისა და ქალების მიერ ინფრასტრუქტურული ობიექტებისა და სერვისების გამოყენებასა და მის კონტროლზე, რაც დაკავშირებულია უთანასწორობასთან საოჯახო ურთიერთობებში, საკუთრების უფლებებთან და კულტურულ შეზღუდვებთან. თუმცა რეალურად ინფრასტრუქტურული პროექტები ხშირად გენდერულად არასენსიტიურები არიან, რადგან ვარაუდობენ, რომ ქალები და მამაკაცები თანაბრად მიიღებენ სარგებელს ახალი ინფრასტრუქტურით, სოციალური და ეკონომიკური ზემოქმედების სრული სპექტრის სათანადო აღიარების გარეშე, იქნება ეს დადებითი თუ უარყოფითი. ძალიან ხშირად, პოზიტიური შედეგები, რომელსაც ქალები განიცდიან ინფრასტრუქტურული პროექტებით, გაუთვალისწინებელი და დაუგეგმავია. კარგად შემუშავებული, სათანადოდ განლაგებული და ხელმისაწვდომი ინფრასტრუქტურა შეიძლება იყოს ძლიერი ინსტრუმენტი გენდერული თანასწორობის მისაღწევად. ამიტომ, გენდერული მეინსტრიმინგი არა მხოლოდ უნდა განიხილებოდეს, როგორც ფაქტორი, რომელიც საჭიროებს ყურადღებას ინფრასტრუქტურულ პროექტებში, არამედ უნდა განიხილებოდეს, როგორც კრიტიკული ფაქტორი პროექტის წარმატებისა და მდგრადობის უზრუნველსაყოფად, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ქალების მდგომარეობა არ გაუარესდეს როგორც ზოგადად, ისე მამაკაცებთან მიმართებაში. (მსოფლიო ბანკი 2008).

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ქალები და გოგონები აწყდებიან გამოწვევებს, როდესაც ცდილობენ მიიღონ ძირითადი სერვისები. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს გენდერულად ბრმა ინფრასტრუქტურის დიზაინით, რესურსებზე შეზღუდული კონტროლით, შეზღუდული მობილობითა და გადაადგილების თავისუფლებით, პირადი უსაფრთხოების საკითხებით, ისევე როგორც ტრადიციული როლებითა და პასუხისმგებლობებით როგორც საჯარო, ისე კერძო სფეროებში. აქედან გამომდინარე, აუცილებელია დაიგეგმოს, დაინერგოს და გაიმართოს გენდერული პასუხისმგებლობის მქონე ინფრასტრუქტურა, რომელიც შეიძლება იყოს მდგრადი განვითარების ხელშემწყობი გენდერული თანასწორობის დარღვევის გარეშე. ეს მოითხოვს ადგილობრივ კონტექსტში არსებული განსხვავებებისა და უთანასწორობის იდენტიფიცირებას და ქალების, კაცების, გოგონების და ბიჭების სხვადასხვა საჭიროებებს, პასუხისმგებლობებსა და მოლოდინებს. ამით, ინფრასტრუქტურულ სისტემებს შეუძლიათ აღმოფხვრან ბარიერები და ხელი შეუწყონ ქალებსა და გოგონებს ისეთ საკითხებში როგორიცაა ხელმისაწვდომობა საარსებო წყაროზე, განათლებასა და ჯანდაცვაზე.

სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სისტემები, როგორიცაა ენერგია, ტრანსპორტი, წყალი და სანიტარია, ნარჩენები და ციფრული კომუნიკაციები, ასევე შენობების ტიპები, მათ შორის საავადმყოფოები, სკოლები, საცხოვრებელი, კომერციული ობიექტები და სამთავრობო შენობები, წარმოადგენს გამოწვევებისა და შესაძლებლობების ფართო სპექტრს გენდერული თანასწორობის მისაღწევად და ქალების გასაძლიერებლად.

გენდერზე პასუხისმგებლიან სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას, რომელიც აღიარებს გენდერულად დიფერენცირებულ მოგზაურობის ტრენდებსა და საჭიროებებს, შეუძლია გადამწყვეტი როლი ითამაშოს გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრაში და გაუმჯობესოს ქალებისა და გოგონების უსაფრთხოება როდესაც ცდილობენ მიიღონ სოციალური და ეკონომიკური შესაძლებლობები. არაუსაფრთხო და გენდერულად ბრმა საზოგადოებრივი ტრანსპორტი ქალთა მობილობის მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს. გენდერული ძალადობის ინციდენტები ხშირია საზოგადოებრივ ტრანსპორტში და მის მიმდებარე ადგილებში რამაც შეიძლება შეამციაროს ქალებისა და გოგონების მიერ მათი გამოყენება. საფრანგეთში, ქალების მიმართ სექსუალური ძალადობის 39 პროცენტი დაფიქსირდა სატრანზიტო და

მატარებლის სადგურებზე, ხოლო ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონის მრავალ ქვეყანაში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ქალების 40-დან 60 პროცენტამდე განიცადა სექსუალური შევიწროება ქუჩაში. გარდა ამისა, ინდოეთში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ქალები მზად არიან ისწავლონ დაბალი ხარისხის კოლეჯებში, დახარჯონ ორჯერ მეტი სწავლის ღირებულება და იმოგზაურონ დღეში დამატებით 40 წუთამდე, რათა გამოიყენონ უსაფრთხო სატრანსპორტო მარშრუტები ან ტრანსპორტის უსაფრთხო სისტემები.

ამ საკითხების გადასაჭრელად და ყველა მომხმარებლის მობილობის მოთხოვნილებების დამაკმაყოფილებელი სატრანსპორტო სისტემების შესაქმნელად, ზოგიერთი ქვეყანა იღებს ზომებს ქალების უსაფრთხოებისა და უსაფრთხოების გაზრდის მიზნით მისასვლელ მარშრუტებზე, მოსაცდელ პუნქტებსა და საზოგადოებრივ ტრანსპორტში ყოფნისას. ზოგიერთი გენდერული პასუხისმგებელი ღონისძიება მოიცავს: მიწათსარგებლობის ინკლუზიური, შერეული დაგეგმვის გამოყენებას; საჯარო სივრცეებში მკაფიო ხედვის უზრუნველყოფას; ქუჩის განათებისა და ბილიკების განათების გაუმჯობესებას; ასევე გზებისა და ბილიკების სიფართოვის გაზრდას ეტლებისა და ოჯახებისთვის; კარგად განათებული, კომფორტული და უსაფრთხო მოსაცდელი ადგილების უზრუნველყოფას ქალებისთვის; CCTV სათვალთვალო სისტემების დაყენებას; მხოლოდ ქალებისთვის განკუთვნილი ავტობუსების და მეტროს/მატარებლის ვაგონების შემუშავებას და ციფრული მობილობის უსაფრთხოების აპლიკაციების შექმნასა და გავრცელებას.

ქვეყანა: პაკისტანი

პარტნიორები: იაპონიის მთავრობა, პაკისტანის მთავრობა, UN Women

ხანგრძლივობა: 2016–2019

UNOPS-მა შეიმუშავა Sakura Bus Project, რათა უზრუნველყოს გოგონებისა და ქალების უსაფრთხო გადაადგილება პაკისტანის ქალაქებში მარდანსა და აბოტაბადში. პროექტის ფარგლებში UNOPS-მა მიაწოდა 14 ავტობუსი, რომელიც განკუთვნილი იყო ექსკლუზიურად ქალებისა და 12 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის. UNOPS-მა შემდგომ ააშენა 31 ავტობუსის გაჩერება მარდანში 10 კმ მარშრუტის გასწვრივ და 18 კმ მარშრუტი აბატაბადში. თითოეული ავტობუსის გაჩერება ხალხს სთავაზობს დასაჯდომი ადგილების კარგ განლაგებას, ჩრდილს და საიმედო და უწყვეტი ელექტროენერგიის მიწოდებას მზის პანელებიდან რაც უზრუნველყოფს ავტობუსის გაჩერებების კარგად განათებას.

ქალებსა და გოგონებს აქვთ სპეციფიკური საჭიროებები და პრიორიტეტები წყლისა და სანიტარული ინფრასტრუქტურის მიმართ, განსაკუთრებით მენსტრუალური ჰიგიენის მენეჯმენტთან, ორსულობასთან და მშობიარობასთან მიმართებით. უხარისხო და გენდერულად ბრმა წყალსა და სანიტარულ ინფრასტრუქტურას შეუძლია მნიშვნელოვანი და ხანგრძლივი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს ქალებისა და გოგონების ჯანმრთელობაზე და საგანმანათლებლო და ეკონომიკურ შესაძლებლობებზე. მაგალითად, სანიტარიასთან დაკავშირებული ჭიებით გამოწვეული ინფექციები ყოველწლიურად 44 მილიონ ორსულ ქალს აწუხებს მთელ მსოფლიოში. გარდა ამისა, მენსტრუალური ჰიგიენის მართვისას არასაკმარისი წყლისა და სანიტარული სისტემების გაუმართაობამ შეიძლება გაზარდოს ქალებში საშარდე გზების ინფექციის რისკი და ხელი შეუწყოს დაავადების გავრცელებას.

იმ შინამეურნეობების 80 პროცენტში, რომლებსაც არ აქვთ წყლის წვდომა შენობაში, წყლის შეგროვების ყოველდღიური ტვირთი არაპროპორციულად ეკისრება ქალებსა და გოგოებს, რაც ზრდის მათ დროის სიღარიბეს. 25 სუბსაჰარის ქვეყანაში აღმოჩნდა, რომ მაშინ, როცა კაცები კუმულაციურად დღეში ხარჯავენ

ექვს მილიონ საათს წყლის შესაგროვებლად, ქალები ამ დროის თითქმის სამჯერ მეტ დროს უთმობენ, რაც შეადგენს 16 მილიონ საათს. სუბსაჰარის აფრიკასა და აზიაში წყლის შეგროვების ორმხრივ მოგზაურობას შეიძლება დასჭირდეს საშუალოდ 20–30 წუთი და შეიძლება ერთ საათზე მეტი შესაძლოა დასჭირდებს ზოგიერთ ქვეყანაში.

სოფლის მეურნეობის სფეროში, ქალებს ხშირად აქვთ შეზღუდული კონტროლი წყლის რესურსებზე კაცებთან შედარებით, მათი შეზღუდული ხელმისაწვდომობისა და მიწის საკუთრების გამო ბევრ განვითარებად ქვეყანაში, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მათი მიწებიდან შემოსავლის გამომუშავების უნარზე. მიწათმფლობელობის უსაფრთხოებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს სხვადასხვა ჩვეულმა სისტემამ, სოციალურმა და მემკვიდრეობით პრაქტიკამ, ასევე დოკუმენტაციის ნაკლებობამ. როდესაც ქალებს არ აქვთ საკუთრების დაცვა, მათ ნაკლები სტიმული აქვთ განახორციელონ ინვესტიცია აუცილებელ სარწყავ ინფრასტრუქტურაში, მიუხედავად იმისა, რომ მათი მიწა ჩვეულებრივ უფრო შორს მდებარეობს წყლის წყაროებიდან, ვიდრე მამრობითი სქესის წარმომადგენლებისგან. ეს ზღუდავს მათი მიწის პროდუქტიულობას და ხდის მათ უფრო დაუცველს გვალვის პერიოდების მიმართ.

წყლისა და სანიტარიული საშუალებების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება გადამწყვეტია ქალებისა და გოგონების დროის სიღარიბის (Time poverty) შესამსუბუქებლად. ქალების როლის ხელშეწყობას წყლის მართვასა და მენეჯმენტში, ქალთა ჩართულობით შესაძლებლობების განვითარებასა და ქალთა მონაწილეობის გაზრდას ადგილობრივ ინსტიტუტებში, როგორიცაა წყლის მომხმარებელთა ორგანიზაციები, ასევე შეუძლია გაზარდოს ქალთა ლიდერობა და გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა.

ქვეყანა: მალდივები

პარტნიორი: USAID

ხანგრძლივობა: 2014–2018

მალდივები ითვლება ერთ-ერთ ყველაზე დაუცველ ქვეყანად კლიმატის ცვლილების გავლენის მიმართ და ამას ემატება მისი დამოკიდებულება კლიმატისადმი მგრძნობიარე ინდუსტრიებზე, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა და ტურიზმი. მტკნარი წყლის წყაროებს სულ უფრო მეტად ემუქრება საფრთხე მოსახლეობის ზრდის, არასტაბილური ნალექის, მარილიანობის შეღწევისა და ადამიანების მიერ ნარჩენებით დაბინძურების გამო. წყლის რესურსების დეფიციტმა შეიძლება მნიშვნელოვნად იმოქმედოს ქალებისა და გოგონების ყოველდღიურ ცხოვრებასა და დროის სიღარიბეზე (Time poverty), რადგან მათ ხშირად ეკისრებათ მთავარი პასუხისმგებლობა საყოფაცხოვრებო წყლის შეგროვებაზე სასმელი, სამზარეულო და სარეცხი მიზნებისთვის.

მალდივის მთავრობის მხარდასაჭერად მისი მთავარი პრიორიტეტის შესრულებაში, რომელიც უზრუნველყოს უსაფრთხო სასმელი წყალისა და კანალიზაციის უსაფრთხო სისტემების უზრუნველყოფას გულისხმობს მისი მოწყვლადი თემებისთვის, UNOPS-ს დაევალა კუნძულზე წყლის დამუშავებისა და განაწილების სრული სისტემის დიზაინისა და მშენებლობის მართვა კუნძულ ჰინავარუზე. ამ სისტემის მთავარი მოთხოვნები მოიცავს მის ხელმისაწვდომობას, ეფექტურობასა და მდგრადობას და შეესაბამება წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის პრინციპებს. იმისათვის, რომ სისტემა ყველასთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო, UNOPS-მა ჩაატარა გენდერული ანალიზი, გააანალიზა სოფლის კონტექსტის გენდერული დინამიკა და ქალების მიერ მტკნარი წყლის შეგროვების დროს სასმელის, ბანაობის,

სამზარეულოს და სხვა მიზნებისთვის გამოყენება. უფრო მეტიც, ქალები ჩართულნი იყვნენ როგორც კონსულტაციის პროცესში, ასევე პროექტის სამუშაო ძალაში.

საზოგადოებრივი განათება გადამწყვეტია მეტად ინკლუზიური და თანაბარი სივრცის უზრუნველსაყოფად და ხშირად ის არ არის დაგეგმილი გენდერული თვალსაზრისით.

ცუდად განათებული საჯარო სივრცეები აძლიერებს შიშის გრძნობას ამ ადგილების მიმართ და ეს ასპექტი აუცილებლად უნდა იყოს გათვალისიწინებული უსაფრთხო ქალაქების პოპულარიზაციისთვის, განსაკუთრებით ქალებისთვის.

ქალაქები ცოცხალი კულტურული პროდუქციებია, რომელიც ასახავს საზოგადოების ღირებულებებსა და პრინციპებს. მათი ფორმირებები და კონსტრუქციები ძირითადად ეფუძნება დომინანტურ და მამაკაცურ გამოცდილებას. ურბანული დაგეგმარება, მისი მოქმედებისა და ტრანსფორმაციის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი, ჩვეულებრივ ფიქრობს და აყალიბებს სივრცეებს მასკულინირებული პერსპექტივიდან, იმ სხეულებისა და ყოფიერების სიმრავლის გათვალისწინების გარეშე, რომლებიც სამომავლოდ გამოიყენებენ ამ ადგილებს.

საზოგადოებრივი განათება არის ფუნდამენტური ელემენტი საჯარო სივრცეებში უფრო მეტი უსაფრთხოების ხელშეწყობისთვის, რაც დაკავშირებულია პირად სიფრთხილესთან (Personal vigilance) რომელიც მოიცავს სხვისი დანახვისა და სხვების მიერ დანახვის უნარს, გარდა ამ სივრცეების გამოყენებისა, რომლებიც ხშირად არასაკმარისად გამოიყენება ღამით.

UN women-ის უსაფრთხო ქალაქებისა და უსაფრთხო საჯარო სივრცეების ანგარიში (The UN Women's Safe Cities and Safe Public Spaces report), რომელიც 2017 წელს გამოქვეყნდა, მიუთითებს, რომ ინვესტიცია ურბანულ ინფრასტრუქტურაში, როგორიცაა უკეთესი საზოგადოებრივი განათება, ერთ-ერთი გასაღებია ქალებისთვის უფრო უსაფრთხო და ინკლუზიური სივრცის უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში. ქალაქებში, როგორიცაა კამპალა, უგანდა, ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ 2016 წელს დაგებული ქუჩებისა და გზების მხოლოდ 8% იყო განათებული და რომ ქალების 79% თავს დაუცველად გრძნობდა ქალაქში სეირნობისას. ნიუ დელიში, ინდოეთსა და პორტ მორსბში, პაპუა-ახალი გვინეაში, განხორციელებულმა ინიციატივებმა აჩვენა, რომ გარკვეულ რაიონებში საზოგადოებრივი განათების სისტემების გაუმჯობესება იყო ერთ-ერთი ფაქტორი, რომელმაც ამ სივრცეებში უსაფრთხოების განცდა გაზარდა და ქალთა მიმართ ძალადობის შემცირება გამოიწვია.

საფრანგეთის განვითარების სააგენტომ (AFD), CoM-SSA-სთან (სუბ-საჰარის აფრიკის მერების შეთანხმებასთან) პარტნიორობით, შეიმუშავა „გენდერულად მგრძნობიარე საზოგადოებრივი განათების მომხმარებლის სახელმძღვანელო“ ("Gender-Sensitive Public Lighting User Guide"), რათა მუნიციპალიტეტებს დახმარებოდნენ საზოგადოებრივი განათების სისტემების დანერგვაში. ისინი განიხილავენ გენდერულ საკითხებს და ქალების ჩართვას ამ პროექტების შემუშავებისა და განხილვის პროცესში.

ქალები შეადგენენ მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარს, თუმცა ხშირად შეზღუდული არიან ტრანსპორტით სარგებლობის პოლიტიკითა და სერვისებით, რომლებიც არ არის გენდერულად ნეიტრალური და მიკერძოებული მათ მიმართ. ბევრი მტკიცებულება აჩვენებს, რომ სქესი არის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორი სატრანსპორტო საშუალებების არჩევისას. ქალების მოგზაურობის მოდელი ხშირად უფრო რთულია, ვიდრე მამაკაცების, უფრო მეტი, ძირითადად მოკლე მოგზაურობით, სხვადასხვა დღის სხვადასხვა დროს სერვისების გამოყენებით, ხშირად ბავშვების მონაწილეობით განისაზღვრება. ამრიგად, სატრანსპორტო გადაწყვეტილებები, რომლებიც შეესაბამება კაცებს - რომლებიც მიდრეკილნი

არიან რამდენიმე პირდაპირი მგზავრობის განხორციელებისკენ განსაზღვრულ დროს და ხშირად მარტო - არ შეესაბამება მომხმარებელი ქალების მოთხოვნილებებს.

ტრანსპორტის უსაფრთხოება და დაცულობა ასევე გენდერულად სპეციფიკური საკითხებია. უსაფრთხოების საკითხები უფრო მეტად აყალიბებს ქალების სატრანსპორტო ქცევას ყველა სატრანსპორტო რეჟიმში, ვიდრე მამაკაცების. უსაფრთხოება ქალების უმთავრესი პრიორიტეტია, როგორც საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობის პირობა. გამოკითხვები აჩვენებს, რომ ქალების უმრავლესობა მთელ მსოფლიოში თავს დაუცველად გრძნობს საზოგადოებრივ ტრანსპორტში და რომ ბევრი გახდა ფიზიკური ან სიტყვიერი შევიწროების მსხვერპლი მისი გამოყენებისას ან საჯარო სივრცეში გადაადგილებისას. ამიტომ ქალებს ხშირად ურჩევნიათ ავტომობილის მართვა, სადაც ეს შესაძლებელია, ვიდრე ფეხით, ველოსიპედით ან საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილება, უსაფრთხოების მიზეზების გამო. მანქანის მართვისას ქალები გაცილებით ნაკლებად ხდებიან საგზაო ავარიის მსხვერპლი, ვიდრე მამაკაცები. საგზაო მოძრაობისას სამჯერ მეტი მამაკაცი იღუპება, ვიდრე ქალი; ზოგიერთ ქვეყანაში მსხვერპლთა 80% მამაკაცია. ეს არის ყველაზე დიდი გენდერული განსხვავება უნებლიე დაზიანებებით გამოწვეულ სიკვდილში.

სატრანსპორტო სამსახურში ქალები მკვეთრად ნაკლებად არიან წარმოდგენილნი. ევროკავშირში ტრანსპორტის თანამშრომლების მხოლოდ 22% არის ქალი. აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში ქალებს, როგორც წესი, აქვთ ტრანსპორტის ყველა სამუშაოს 20%-ზე ნაკლები. ქალები განსაკუთრებით იშვიათად ასრულებენ სამუშაოს მაღალ თანამდებობებზე ტრანსპორტის, ლოჯისტიკისა და ინფრასტრუქტურის სექტორებში. მაგალითად, შეერთებულ შტატებში ამ როლების მხოლოდ 14%-ს ასრულებენ ქალები. შედეგად, გენდერული პერსპექტივები ნაკლებად განიხილება გადაწყვეტილების მიღებისას. კვალიფიციური კადრების სავარაუდო დეფიციტთან გასამკლავებლად და ქალების, როგორც მომხმარებლების სპეციფიკურ საჭიროებებზე უკეთ რეაგირებისთვის, ტრანსპორტის სექტორს სჭირდება ქალების მოზიდვა, დასაქმება და მომზადება ყველა დონეზე.

ტრანსპორტის გენდერული განხრა არის მდიდარი სფერო სამეცნიერო კვლევისა და პოლიტიკის გაუმჯობესებისთვის. ტრანსპორტის სფეროში გენდერული საკითხების განხილვა სარგებელს მოუტანს არა მარტო ქალებს, არამედ ტრანსპორტის ყველა მომხმარებელს, მომხმარებელზე ორიენტირებული მიდგომის წახალისებით, ხელმისაწვდომობის მაღალი დონის უზრუნველსაყოფად.

საჯარო სივრცეები ასევე მოითხოვს ქალების, ბავშვების, მოხუცების და სხვა მარგინალიზებული ჯგუფების ჩართულობას. მიუხედავად იმისა, რომ საჯარო სივრცეები განკუთვნილია ყველასთვის, სქესისა და ასაკის მიუხედავად, ქალები უფრო ნაკლებად სარგებლობენ საჯარო პარკებით და ქუჩებით, ვიდრე მამაკაცები. ინდოეთში აღნიშნავენ, რომ ქალები თავიანთ საჯარო სივრცეში ყოფნის დროს ყოველდღიური ბაზრის დროით ზღუდავენ.

დაფიქსირებული ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევები პარკებში, გზატკეცილებსა და საზოგადოებრივ ტრანსპორტში, იწვევს შიშის ან დაუცველობის ამაღლებულ მაჩვენებელს. კვლევების თანახმად, ქალები უფრო აქტიურ საზოგადოებრივ ადგილებს ამჯობინებენ სადაც დაცულია პერიმეტრის, სისუფთავე. ისინი საფრთხის შემცველ პირობებად თვლიან სათანადო განათების ნაკლებობას, ცარიელ მაგისტრალებს და ქუჩაში მოვაჭრეებისა და მაღაზიების ნაკლებობას.

ქალები, უფროსები და ბავშვები უპირატესობას ანიჭებენ ისეთ საჯარო სივრცეებს, სადაც უზრუნველყოფილია კომფორტი, ხელმისაწვდომობა და უსაფრთხოება ისეთი მახასიათებლების მეშვეობით, როგორიცაა სუფთა ტუალეტები, სათანადო განათება და ა.შ.

გენდერული თანასწორობა საჯარო სივრცეებში შეიძლება იყოს მიღწეული ისეთი ფუნქციების ინტეგრირებით, რომლებიც აუმჯობესებენ ქალების უსაფრთხოებას. მნიშვნელოვანი აქცენტი უნდა გაკეთდეს დაგეგმარებასა და მშენებლობაზე.

ავსტრიის დედაქალაქ ვენის ქეისი

გენდერული თანასწორობა ვენის საჯარო სივრცეებში

ავსტრიის დედაქალაქი, ვენა, არის მისი კომერციული, კულტურული და პოლიტიკური ცენტრი. 1990 წლიდან კონცენტრირებულია გენდერული მეინსტრიმინგზე, მისი საჯარო სივრცეების დაგეგმვის, განსახლების, მობილობის და ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით. გენდერული მეინსტრიმინგის იდეა პირველ რიგში ინტეგრირებულია ქუჩის არქიტექტურაში, პეიზაჟებში, საჯარო მოედნებსა და საზოგადოებრივი პარკებში. შესაბამისად, ისინი მუდამ ცდილობენ სადაც საჯარო სივრცეების დიზაინი გენდერულად მგრძნობიარე გადაწყვეტებით შეცვალონ და შედეგად მიიღონ გენდერულად მგრძნობიარე საჯარო პარკების დიზაინი: Einsiedler Park და St. Johann Park-ის ხელახალი დიზაინი.

ვენაში დაინახეს აინზიდლერის პარკისა და წმინდა იოჰანის პარკის განახლების აუცილებლობა, როდესაც პარკის სტუმრებს შორის 10 დან 12 წლამდე გოგონების მაჩვენებელი შემცირდა. გოგოები ნაკლებ დროს ატარებდნენ საჯარო პარკებში. ამიტომ, პროექტირებისას გაითვალისწინეს კონკრეტულად მათი ინტერესები თამაშებთან, სპორტსა და სხვა დასასვენებელ აქტივობებთან დაკავშირებით.

გენდერულად მგრძნობიარე დაგეგმვის ღონისძიებები

მონაწილე კონსულტანტებმა გამართეს შეხვედრები და სემინარები საერთო პრიორიტეტების დასადგენად მაცხოვრებლებთან, დედებთან, რაიონის სკოლებისა და საბავშვო ბაღების წევრებთან და ა.შ. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო გოგონების საჭიროებებს საზოგადოებრივ აქტივობებში მათი ჩართულობის ხელშეწყობის პოლიტიკის შემუშავებისას.

გოგოებისთვის მნიშვნელოვან აქტივობებს შორის გამოვლინდა ფრენბურთი, ბადმინტონი, გორგოლაჭებით სეირნობა, კლდეზე ცოცვა, საქანელების გამოყენება და სხვა.60 უსაფრთხოების მხრივ, პროექტების დიზაინში ასევე გათვალისწინებულია გოგოების პრიორიტეტები: პარკებში საფეხმავლო ბილიკები დაპროექტდა განათებული ქუჩების გასწვრივ, საცხოვრებელი სახლების ხედვის არეალში; მოწესრიგდა საპირფარეშოები სათამაშო მოედანსა ან პარკთან ახლოს. პატარა ბავშვების მშობელთა პრიორიტეტების შესაბამისად, ცალკე გამოიყო სათამაშო ადგილები საკმარისი რაოდენობის სკამებითა და მაგიდებით, რომლებიც უყურებს სათამაშო მოედნებს; სკვერების გარკვეული ადგილები დაიჩრდილა ხეებით ან გადახურვით; ხელმისაწვდომი გახდა სუფთა სასმელი წყალი; საპირფარეშოებში დამონტაჟდა გამოსაცვლელი მაგიდები.

შედეგად, დაინერგა გენდერულად პასუხისმგებლიანი მიდგომები რომელთა მიზანია ახალგაზრდა გოგონებისთვის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნა მათ საჭიროებებზე ფოკუსირებით.

პროექტის მთავარი მიზნები იყო

• გოგონების წახალისება იმისთვის რომ უფრო ხშირად ისარგებლონ პარკებით.

• პარკებში უსაფრთხოების ზომების გაუმჯობესება.

• ისეთი პირობების შექმნა რაც გამოიწვევს მოხუცებისა და ბავშვიანი ადამიანების მოზიდვას.

• იდეების ძლიერი ტექნიკური გაცვლა დაგეგმვის ეტაპზე.

ასე მოხდა პარკების რესტრუქტურიზაციისა და დიზაინის დეტალური დაგეგმვა და სარემონტო სამუშაოები დასრულდა.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების გენდერული ანალიზი

მუნიციპალიტეტის ხედვით, „მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი კორპუსების სახურავების და ფასადების რეაბილიტაცია, არსებული წყალმომარაგების და საკანალიზაციო სისტემების, აგრეთვე გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია, ასევე საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა რეაბილიტაცია. ზემოაღნიშნულის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მისი ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები".

ბიუჯეტში პრიორიტეტის მისაღწევად 7 პროგრამა და 13 ქვეპროგრამაა განსაზღვრული.

პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
02 00	**ინფრასტრუქტურის** **განვითარება**	**14 877,6**	**15 955,1**	**17 713,3**	**21 531,7**
02 01	**საგზაო** **ინფრასტრუქტურის** **განვითარება**	**6 010,8**	**6 891,1**	**11 500,3**	**15 953,6**
02 01 01	გზების მიმდინარე მოვლა-შენახვა	10,0	0,0	0,0	0,0
02 01 02	გზების მშენებლობა რეაბილიტაცია	6 000,8	6 891.1	11 500,3	15 953,6
02 02	**წყლის** **სისტემების** **განვითარება**	**1 282,7**	**2 006,2**	**1 153,5**	**0,0**
02 02 01	სასმელი წყლის სისტემის ექსპლუატაცია (მოვლა-შენახვა)	0	0	0	0
02 02 02	სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა რეაბილიტაცია	1 282,7	2 006,2	1 153,5	0
02 03	**გარე** **განათება**	**676,5**	**714,9**	**680,0**	**680,0**
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	0,0	0,0	0,0	0,0
02 03 02	გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახადი	600,0	600	650	650
02 03 03	კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში	76,5	114,9	30	30
02 04	**ავარიული** **შენობების** **და** **სახლების** **რეაბილიტაცია**	**2 679,5**	**3 443,0**	**2 615,0**	**2 615,0**
02 04 01	მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია	2 100,5	3 143,0	2 315,0	2 315,0
02 04 02	ავარიული ობიექტების შენობების რეაბილიტაცია (ბინათმშენებლობა)	529,0	250,0	250,0	250,0
02 04 03	ბინათმესაკუთრეობათა მონაწილეობა	50,0	50,0	50,0	50,0
02 05	**კეთილმოწყობის** **ღონისძიებები**	**1 267,5**	**1 065,1**	**0**	**747,1**

02 05 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია	1 267,7	1 065,1	0	747,1
02 05 02	შადრევან-აუზების ექსპლოატაცია, რეაბილიტაცია	0,0	0,0	0,0	0,0
02 05 03	სასაფლაოების მოწყობა მოვლა - პატრონობა, სარიტუალო ღონისძიებები	0,0	0,0	0,0	0,0
02 06	**სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ღონისძიებები**	**2 204,5**	**1 284,8**	**1 214,5**	**986,0**
02 07	**საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა**	**540,5**	**550**	**550,0**	**550,0**

ცხრილი #2. წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. დმანისის მუნიციპალიტეტის ასიგნებები 2024-2027 წელი (ათასი ლარი)

საშუალოვადიანი პერიოდისათვის, დაფინანსების ყველაზე მეტი პროცენტული წილი საშუალოდ 55 პროცენტი, საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამაზე მოდის, კერძოდ კი გზების მშენებლობა-რეაბილიტაციაზეა მიმართული.

მნიშვნელოვანი თანხებით არის დაფინანსებული გენდერულად ასევე მნიშვნელოვანი ისეთი მიმართულებები, როგორებიც არის წყლის სისტემების განვითარება, გარე განათება, კეთილმოწყობის ღონისძიებები. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საკითხები გენდერულად მნიშვნელოვანია, როგორც პრიორიტეტში, ასევე არც პროგრამებსა და მათ ქვეპროგრამებში არ არის განხორციელებული გენდერული მეინსტრიმინგი, მხოლოდ ორ შემთხვევაში, ისიც, დამტკიცებული ბიუჯეტის დოკუმენტში მოცემული ინფორმაციისგან განსხვავებით, პრიორიტეტების დოკუმენტსა და პროგრამული ბიუჯეტის დანართში პროგრამების „საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება“ (02 01) და ბინათმშენებლობა (02 04) ერთ-ერთ შედეგად „შშმ პირებისათვის და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთათვის ადაპტირებული გზები“, „შშმპ-სათვის და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთათვის მოწყობილი პანდუსები“-ია მითითებული.

დასუფთავება და გარემოს დაცვა

სფეროს გენდერული მნიშვნელობა

გენდერული თანასწორობა ასევე მნიშვნელოვანია მდგრადი განვითარების ძირითადი გამოწვევების გადასაჭრელად, კერძოდ, ბუნებრივი რესურსების გამოყენება და მართვა და გარემოს დეგრადაციისა და დაბინძურების პრევენცია. მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით, ურთიერთობა ადამიანთა საზოგადოებასა და ფიზიკურ გარემოს შორის, როგორც ჩანს, გენდერულად ნეიტრალურია, ანუ ერთნაირად მოქმედებს როგორც ქალებზე, ასევე კაცებზე, უფრო დეტალური შესწავლის შემდეგ ცხადია რომ ურთიერთობა არ არის ნეიტრალური. მამაკაცისა და ქალის როლების დიფერენცირებული სოციო-კულტურული კონსტრუქცია ნიშნავს, რომ ადამიანებსა და ფიზიკურ გარემოს შორის კავშირი განსხვავებულად მოქმედებს ორივე სქესზე. იმის გამო, რომ მამაკაცებსა და ქალებს განსხვავებული როლები აქვთ ოჯახში, საზოგადოებასა და სამუშაო ძალაში, მათ სავარაუდოდ აქვთ განსხვავებული დამოკიდებულება, პრიორიტეტები და ძალაუფლება რესურსებზე, როდესაც საქმე ეხება გარემოს დაცვას. მამაკაცები და ქალები ასევე განსხვავებულად ურთიერთობენ გარემოსთან, რაც მათ მის დასაცავად განსხვავებულ შესაძლებლობებს აძლევს. ყოველივე ეს მოითხოვს, რომ ქვეყანაში, ადგილობრივ და სათემო დონეზე გარემოს დაცვის ხელშეწყობის სტრატეგიები განსხვავებულად მიუდგეს კაცებსა და ქალებს.

საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვა უფრო მეტად ქალების პასუხისმგებლობაა, ვიდრე კაცების. ამიტომ საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ტრენინგები და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებისას განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს ქალებზე. ნარჩენების გატანა ხშირად ქალების არა ანაზღაურებადი სამუშაოა, მაგრამ როგორც კი ის ოდნავ მექანიზებულია, მაგალითად, ურიკების ან სამომხმარებლო ველოსიპედის გამოყენებით და ამავდროულად ანაზღაურებადია, ამ საქმეს

კაცები იკავებენ. ჩარევები ნარჩენების მართვაში, მათ შორის ნარჩენების პროდუქტების დახარისხება, გადამუშავება და ხელახალი გამოყენება, ხშირად ქმნის ანაზღაურებად სამუშაოს რა შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია, რომ ორივე სქესს, ქალებს და მამაკაცებს მიეცეთ მასში ჩართულობის არჩევანი.

ნარჩენების მენეჯმენტში გენდერული სენსიტიურ მიდგომას შეუძლია გაზარდოს ეფექტურობა, თავიდან აიცილოს ძვირადღირებული შეცდომები და უზრუნველყოს სამართლიანი ხელმისაწვდომობა საარსებო წყაროებზე, რესურსებზე ან შეღავათებზე, რომლებსაც პროექტი ხელმისაწვდომს ხდის. ურბანული ნარჩენების მენეჯმენტში გენდერული ინტეგრაციის ძირითადი საკითხებია:

• გენდერული პერსპექტივის ინტეგრირება შეფასების კვლევებში, ნარჩენების მართვის პროექტების დაგეგმვაში, განხორციელებასა და მონიტორინგში. ეს უნდა მოიცავდეს გენდერულად სპეციფიკურ ანალიზს, თუ როგორ ხდება ხელმისაწვდომი ნარჩენების და რესურსების შეფასება და გამოყენება.

• კონსულტაციები ახალი პოლიტიკის, პროცედურების და ტექნოლოგიების დანერგვამდე და ამ კონსულტაციებში ქალებისა და მამაკაცების თანაბარი წარმომადგენლობა.

• მამაკაცებისა და ქალებისთვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნა, რათა ისარგებლონ ნარჩენების მართვის ცნობიერების ამაღლების ინიციატივებითა და შესაბამისი ტრენინგებით.

მიწის დეგრადაცია იწვევს მიწის პროდუქტიული შესაძლებლობების მნიშვნელოვან შემცირებას. ხალხის ქმედებები რომლებიც ხელს უწყობს მიწის დეგრადაციას, მოიცავს სასოფლო-სამეურნეო მიწების არამდგრად გამოყენებას, ნიადაგისა და წყლის ცუდი მართვის პრაქტიკას, ტყეების გაჩეხვას, ბუნებრივი მცენარეულობის მოცილებას, მძიმე ტექნიკის ხშირ გამოყენებას, ჭარბ ძოვას, არასათანადო მოსავლის როტაციას და არასათანადო სარწყავ პრაქტიკას. ბუნებრივი კატასტროფები, მათ შორის გვალვა, წყალდიდობა და მეწყერი ასევე ხელს უწყობს მიწის დეგრადაციას. მიწის მდგრად მართვაში ქალების ჩართვის ზოგიერთი ძირითადი შეზღუდვაა საკუთრებაში არსებული დაუცველობა, შრომისა და საარსებო მეურნეობისთვის მინიჭებული ღირებულების ნაკლებობა, კრედიტზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა და მიწის მდგრადი მართვის პრაქტიკის ტექნიკური ცოდნის მოპოვებისა და გაზიარების შესაძლებლობების ნაკლებობა.

მიწის მართვის ინიციატივების გენდერული მეინსტრიმინგის მიზნებია: უზრუნველყოს, რომ მიწის მართვის პოლიტიკის შემუშავების პროცესი იყოს გენდერულად სენსიტიური; უზრუნველყოს, რომ ქალებსა და მამაკაცებს თანაბარი წარმომადგენლობა ჰქონდეთ გადაწყვეტილების მიღებისას პოლიტიკისა და პოლიტიკის ინსტრუმენტების მიმართ, რომლებიც მიზნად ისახავს მიწისა და მიწის რესურსების მდგრად მართვას;

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების გენდერული ანალიზი

მუნიციპალიტეტის ხედვით, „ განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება, კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება”.

ბიუჯეტში, პრიორიტეტის მისაღწევად 4 პროგრამა და 1 ქვეპროგრამაა განსაზღვრული.

პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
03 00	**დასუფთავება** და გარემოს დაცვა	**3 046,2**	**2 190,6**	**2 220,6**	**2 220,6**
03 01	**დასუფთავება** და ნარჩენების გატანა	**2 161,0**	**2 130,6**	**2 130,6**	**2 130,6**

03 01 01	ა(ა)იპ დმანისის სერვის ჯგუფი	2 161,0	2 130,6	2 130,6	2 130,6
03 02	**მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება**	**0,0**	**0,0**	**0,0**	**0,0**
03 03	**კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში**	**855,2**	**30,0**	**60,0**	**60,0**
03 04	**უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები**	**30,0**	**30,0**	**30,0**	**30,0**

ცხრილი #3 წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. დმანისის მუნიციპალიტეტის ასიგნებები 2024-2027 წელი (ათასი ლარი)

საშუალოვადიანი პერიოდისათვის, დაფინანსების ყველაზე მეტი პროცენტული წილი საშუალოდ 90 პროცენტი, დასუფთავებასა და ნარჩენების გატანაზეა მიმართული.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საკითხები გენდერულად მნიშვნელოვანია, როგორც პრიორიტეტში, ასევე არც პროგრამებსა და მათ ქვეპროგრამებში არ არის განხორციელებული გენდერული მეინსტრიმინგი და შესაბამისად არ არის გათვალისწინებული გენდერული ასპექტები.

განათლება

სფეროს გენდერული მნიშვნელობა

გლობალურად ყველა ქვეყნის ნახევარზე ნაკლები უზრუნველყოფს ბიჭებსა და გოგოებს განათლებაზე თანაბარ ხელმისაწვდომობას და გოგოები ერთნახევარჯერ უფრო ხშირად არიან გარიყულნი დაწყებითი სასკოლო განათლებისგან, ვიდრე ბიჭები. მაგალითად, სუბ-საჰარის აფრიკაში 9 მილიონი გოგო (6 მილიონ ბიჭთან შედარებით) სავარაუდოა, რომ არ დაესწროს სკოლას, ხოლო სამხრეთ აზიაში 5 მილიონი გოგო და 2 მილიონი ბიჭია განათლებას მოკლებული. ამ გენდერული განხეთქილების გამომწვევ მიზეზებს შორის არის გენდერულად მგრძნობიარე განათლების ინფრასტრუქტურის ნაკლებობა. ფაქტორებმა, როგორიცაა სკოლების მდებარეობა და არაადეკვატური სანიტარული საშუალებები, შეიძლება გავლენა იქონიოს განათლების მიღწევის მაჩვენებლებზე.

სკოლების მდებარეობა და სახლიდან დაშორება შეიძლება გადამწყვეტი ბარიერი იყოს გოგოებისთვის განათლებაზე წვდომისთვის, განსაკუთრებით სოფლებში. სკოლები, რომლებიც გოგოებს ავალდებულებენ გადაადგილდნენ ფეხით შორ მანძილზე ან გადატვირთულ და სახიფათო გზებზე, შეიძლება დააყენონ ისინი გენდერული ძალადობის საფრთხის წინაშე, რაც ხშირად იწვევს მშობლების გადაწყვეტილებას რომ არ გაგზავნონ თავიანთი შვილები სკოლაში. ბევრ საზოგადოებაში ბავშვები, განსაკუთრებით გოგოები, პასუხისმგებელნი არიან საყოფაცხოვრებო საქმიანობებზე და თუ სკოლაში მგზავრობას დრო სჭირდება რასაც ისინი საშინაო ან შემოსავლის მომტანი საქმიანობისთვის უნდა იყენებდნენ, მათ შეიძლება აუკრძალონ სკოლაში სწავლა.

უფრო ინკლუზიურ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, როგორიცაა სკოლებს, რომლებიც მდებარეობს საზოგადოებებთან ახლოს და გადაადგილება შესაძლებელია უსაფრთხო საზოგადოებრივი ტრანსპორტით, შეუძლია ხელი შეუწყოს გოგოების განათლების შესაძლებლობებს და უზრუნველყოს ქალებისთვის სამომავლო დასაქმების შესაძლებლობა.

ბავშვების მიერ გენდერის აღქმა ხშირად ექცევა მშობლებისა და მასწავლებლების ქცევის და მედიის გავლენის ქვეშ. სკოლამდელი აღზრდის მასწავლებლების დაბალი ანაზღაურება და დაბალი სოციალური მდგომარეობა, ისევე როგორც ტრადიციული სოციალური დამოკიდებულებების საკითხი არის ფაქტორები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საბავშვო ბაღის მამრობითი სქესის მასწავლებლების გაცილებით ნაკლები რაოდენობა, ვიდრე ქალების. მშობლებმა და მასწავლებლებმა უნდა მოხსნან გენდერული სტერეოტიპების გავლენა და შექმნან მშვიდი და პოზიტიური გარემო ბავშვებისთვის გენდერული ცნობიერების ასამაღლებლად. საჭიროა მთავრობამ და საგანმანათლებლო დაწესებულებებმა გააუმჯობესონ მამრობითი სქესის და ქალი მასწავლებლების ხელფასები და პირობები და მოიზიდონ

მეტი მამაკაცი მასწავლებლები შესაბამის პროფესიაში, რაც ხელს შეუწყობს ბავშვების გენდერული სტერეოტიპების დაშლას.

აქედან გამომდინარე, ორი ძირითადი ფაქტორი, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ბავშვების მიერ გენდერის აღქმაზე არის მათი ოჯახი და სკოლამდელი გარემო. ბავშვებს უვითარდებათ გენდერული სტერეოტიპები მშობლების, მასწავლებლებისა და თანაკლასელების ქმედებებისა და მოლოდინების საფუძველზე. უპირველეს ყოვლისა, გენდერულ განათლებასთან დაკავშირებით ფორმალური ტრენინგების არარსებობის გამო, ზოგიერთ მშობელსა და ბავშვების აღმზრდელებს გენდერი ესმით საკუთარი ბავშვობის გამოცდილებიდან გამომდინარე. ბავშვებთან ურთიერთობისას ეს იდეები ბავშვებს გადაეცემა შეუგნებლად ან არაცნობიერად. მთავარი მაგალითია ბავშვებისთვის მშობლების მიერ მიწოდებული ნივთების ფერი, როდესაც ხშირ შემთხვევაში ბიჭებს ლურჯი ფერის საგნები გადაეცემათ, გოგოებს კი ვარდისფერი.

აუცილებელია სკოლამდელი ასაკის ბავშვების მასწავლებელთა რაოდენობაში ქალებისა და კაცების რაოდენობაში ბალანსის დაცვა. ზოგიერთმა კვლევამ აჩვენა, რომ როდესაც მამრობითი მასწავლებლების რაოდენობა იზრდება, ამან შეიძლება უფრო დიდი გავლენა მოახდინოს ბიჭებზე და შეავსოს ქალი მასწავლებლების დანაკლისი. ასევე არსებობს შესაძლებლობა, რომ მამრობითი სქესის მასწავლებლებმა შეასრულონ მამის ფიგურის ნაწილობრივი როლი და დადებითად იმოქმედონ ბავშვებზე, რომლებიც მამების გარეშე იზრდებიან.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების გენდერული ანალიზი

მუნიციპალიტეტის ხედვით, „მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას ,რაც თვითმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს რომლის ფარგლებშიც ყოველ წლებში ხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.ასევე დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ხორციელდება საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება და სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.”

ბიუჯეტში, პრიორიტეტის მისაღწევად 3 პროგრამა და 6 ქვეპროგრამაა განსაზღვრული.

პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
04 00	**განათლება**	**2 758,4**	**1 822,6**	**1 822,6**	**1 822,6**
04 01	**სკოლამდელი აღზრდა**	**1 631,6**	**1 631,6**	**1 631,6**	**1 631,6**
04 01 01	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ფუნქციონირება	1 631,6	1 631,6	1 631,6	1 631,6
04 01 02	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია	0,0	0,0	0,0	0,0
04 02	**პროფესიული განათლების ხელშეწყობა**	**191,0**	**191,0**	**191,0**	**191,0**
04 02 01	საგანმანათლებლო ცენტრის ხელშეწყობა	181,0	181,0	181,0	181,0
04 02 02	პროფესიული სტუდენტთა ხელშეწყობა	10,0	10,0	10,0	10,0
04 03	**საჯარო სკოლების დაფინანსება**	**935,8**	**0,0**	**0,0**	**0,0**
04 03 01	სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირტით უზრუნველყოფა	0,0	0,0	0,0	0,0
04 03 02	ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაცია	0,0	0,0	0,0	0,0

ცხრილი #4. წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. დმანისის მუნიციპალიტეტის ასიგნებები 2024-2027 წელი (ათასი ლარი)

საშუალოვადიანი პერიოდისათვის, დაფინანსების ყველაზე მეტი პროცენტული წილი საშუალოდ 82 პროცენტი, სკოლამდელი აღზრდაზე არის მიმართული.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საკითხები გენდერულად მნიშვნელოვანია, როგორც პრიორიტეტში, ასევე არც პროგრამებსა და მათ ქვეპროგრამებში არ არის განხორციელებული გენდერული მეინსტრიმინგი და შესაბამისად არ არის გათვალისწინებული გენდერული ასპექტები.

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

სფეროს გენდერული მნიშვნელობა

კულტურა: გენდერული ასპექტები რელევანტურია კულტურის პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში. უპირველეს ყოვლისა, კულტურული უფლებები არის ადამიანის უფლებები და შესაბამისად არის როგორც ქალების, ასევე კაცების უფლებები. კულტურის ყველა სფეროში ადამიანის უფლებები არის კულტურული მრავალფეროვნების გამდიდრებისა და ადამიანის შემოქმედებითი შესაძლებლობის წინაპირობა. მაგალითად, შრომის ბაზრის ჰორიზონტალური და ვერტიკალური გენდერული სეგრეგაცია არის გენდერული სტრუქტურული უთანასწორობის მაგალითი საუკუნოვანი გენდერული სტერეოტიპისა და დისკრიმინაციის შედეგად. ადამიანების ცხოვრება კულტურულ კონტექსტშია ჩადებული, რომელიც სტრუქტურირებულია ამ ასიმეტრიული გენდერული როლების შესაბამისად. ცალკეულ ქალებსა და კაცებს შეუძლიათ მიიღონ ან წინააღმდეგობა გაუწიონ ამ სოციალურად შექმნილ როლებს: „კულტურასა და ტრადიციას შეუძლია ხელი შეუწყოს ან შეაფერხოს და იყოს მჩაგვრელი ან განმათავისუფლებელი სხვადასხვა ადამიანებისთვის სხვადასხვა დროს. არაფერია დაურღვეველი და ხელშეუხებელი კულტურაში და შესაბამისად, ღირებული შეფასება უნდა გაკეთდეს იმის შესახებ, თუ კულტურის რომელ ასპექტები უნდა შევინარჩუნოთ და რომელზე უნდა ვთქვათ უარი“.

მეორე, გენდერი არსებითად არის დაკავშირებული კულტურასთან. ქალებისა და კაცების სოციალურად ჩამოყალიბებული როლები კულტურით არის განსაზღვრული და განსხვავდება დროსა და სივრცეში. გენდერი არის კულტურული და სოციალური კონსტრუქცია, რომელიც განისაზღვრება ქალთა და კაცთა ძალაუფლების ურთიერთობით, ნორმებითა და ღირებულებებით „კაცური“ და „ქალური“ როლებისა და ქცევის შესახებ. ამრიგად, კოლექტიურმა შეხედულებებმა "ტიპიური კაცის" ან "ტიპიური ქალის" როლების შესახებ შეიძლება ხელი შეუწყოს სტერეოტიპების შექმნას, რამაც შეიძლება შეზღუდოს ან მისცეს ქალებსა და კაცებს შესაძლებლობები იმოქმედონ თავიანთი კულტურული კონტექსტის ფარგლებში.

გარდა ამისა, ტრადიციული და სოციალური მედია მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოებაში გენდერული როლების ჩამოყალიბებაში. რაც შეეხება კონკრეტულად კულტურულ პოლიტიკას, აღნიშნულმა კულტურული შინაარსის გადაცემებით შეიძლება ხელი შეუწყოს გენდერულ უთანასწორობას და დისკრიმინაციას. მედია კონტენტი ხშირად ხასითდება ქალების სტერეოტიპული პორტრეტით. ეს ასევე შეიძლება განპირობებული იყოს ქალების შეზღუდული ხელმისაწვდომობით მედია პროდუქტების შექმნაზე და მედიასა და კულტურის ინდუსტრიებში გადაწყვეტილებების მიღებაზე.

მესამე, განსხვავება ქალებსა და კაცებში ასევე შეინიშნება კულტურის სფეროს პროდუქტების მოხმარებასა და კულტურის სფეროს ღონისძიებებში მონაწილეობის მხრივ. კაცები ბევრად მეტ დროს უთმობენ სპორტის ყურებას, ვიდრე ქალები. მეორეს მხრივ, ქალები უფრო ხშირად კითხულობენ წიგნებს, დადიან თეატრებში, სტუმრობენ საჯარო ბიბლიოთეკებს.

კულტურულ ღონისძიებებში არმონაწილეობის მიზეზები ასევე მნიშვნელოვნად განსხვავდება ქალებისა და კაცებისათვის: კაცები უფრო ხშირად ასახელებენ ინტერესის ნაკლებობას, ხოლო ქალები ფინანსებს.

ოჯახური პასუხისმგებლობები ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია მონაწილეობის დაბალი მაჩვენებლების ახსნაში, რადგან მათ შეიძლება შეაფერხონ კულტურული ჩართულობა, დროითი თვალსაზრისით შეუთავსებლობის გამო". კვლევები ცხადყოფს, რომ ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ 4 და მეტ სულიან ოჯახებში, სწორედ მათთვის მიუღებელი დროის ფაქტორის გამო ვერ ერთვებიან კულტურულ ღონისძიებებში, ვიდრე ის ადამიანები, რომლებიც მარტო ცხოვრობენ.

მეოთხე, ქალები წარმოადგენენ ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კურსდამთავრებულთა უდიდეს ნაწილს და, ზოგადად რომ ვთქვათ, ამ დისციპლინების კურსდამთავრებულები საქმდებიან კულტურულ და შემოქმედებით სექტორში. ზოგიერთ ქვეყანაში შეინიშნება ტენდენცია, რომ ქალებს სულ უფრო მეტად შემოქმედებითი ინდუსტრიები (მაგალითად მოდის დიზაინი) იზიდავთ.

ახალგაზრდობა: ახალგაზრდობის პოლიტიკას შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს გენდერულ თანასწორობაში.

როგორც წესი, ახალგაზრდობა განისაზღვრება როგორც ასაკობრივი ჯგუფი, თუმცა ახალგაზრდობის განმარტება განსხვავდება ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, როდესაც ხშირია პერიოდების გადაფარვა და ბუნდოვანი სხვაობაა დადგენილი ბავშვობასა და ახალგაზრდობას შორის.

სტატისტიკური მიზნებისთვის, ევროკავშირი ახალგაზრდებად თვლის ადამიანებს 15-29 ასაკამდე, მაშინ როდესაც ბავშვებად ითვლებიან 0-14 წლის ასაკამდე.

ევროპაში ბევრი ახალგაზრდა საკუთარ თავზე ცდის ისეთ გამოწვევებს, რომლებიც მათ ხელს უშლიან ადამიანის საკუთარი უფლებების სრულად გამოყენებაში და თანაბარი შესაძლებლობების წვდომაში.

ზოგიერთ შემთხვევაში, სხვადასხვა გამოცდილება ან სიტუაცია გენდერულად სპეციფიკურია. ზოგიერთ სფეროში, ახალგაზრდა ქალები არიან დაზარალებულები, მაშინ, როდესაც სხვა სფეროებში ახალგაზრდა კაცები განიცდიან უფრო მაღალ რისკებს და არასასურველ შედეგებს.

მართლაც, გოგოები და ქალები აწყდებიან მრავალ გამოწვევას. მიუხედავად იმისა, რომ შრომის ბაზარზე სხვადასხვა მაჩვენებელი (დასაქმება, გადასვლა განათლების სფეროდან სამსახურში, უმუშევრობა) წარმოდგენს მთავარ გამოწვევას, ბევრი სხვაც სახეზეა.

ახალგაზრდა ქალები, მაგალითად, უფრო მეტად ზარალდებიან დაბალი ანაზღაურებით და არასტანდარტული დასაქმებით, როგორც ახალგაზრდა დედები, და განიცდიან სამსახურსა და ცხოვრებას შორის ადეკვატური დაბალანსების საშუალებების ნაკლებობას.

გარდა ამისა, ზოგიერთი ახალგაზრდა ქალი არის განსაკუთრებულად არასახარბიელო მდგომარეობაში ან რისკის ქვეშ შრომის ბაზარზე, დისკრიმინაციის კუთხით.

სპორტი: სპორტი არის სოციალური და კულტურული პროცესი, რომელშიც საკმაოდ დიდ როლს თამაშობს მამაკაცურობისა და ქალურობის სოციალური კონსტრუქციები:

სპორტი ტრადიციულად ასოცირდება «მამაკაცობასთან». ბევრ საზოგადოებაში ქალებისთვის სპორტით დაკავება შეუფერებლად ითვლება და ქალები, რომლებიც ამას აკეთებენ, შეიძლება აღიქმებოდნენ „მამაკაცურად". და პირიქით, მამაკაცებს, რომლებიც არ ეწევიან სპორტს, შეიძლება ხშირად მიანიჭონ „არამამაკაცურის" იარლიყი. თუმცა, აშკარაა, რომ არ არსებობს მამაკაცურობის ან ქალურობის ერთი განსაზღვრება და სპორტს შეუძლია უზრუნველყოს სივრცე, სადაც მასკულინობა და ქალურობა ხელახლა განიხილება. ამ პრობლემის შედეგად, ქალებს და, საბოლოოდ, მამაკაცებსაც შეიძლება შეექმნათ მრავალი პრაქტიკული ბარიერი სპორტში მონაწილეობისთვის.

უსაფრთხო და შესაბამისი სპორტული ობიექტების ზოგადი არარსებობის, უნარების, რესურსების და ტექნიკური მხარდაჭერის ნაკლებობის გარდა, ქალებს შეიძლება შეექმნათ დამატებითი ფიზიკური შეზღუდვები ისეთი ფაქტორების გამო, როგორიცაა დროის ნაკლებობა და ბავშვთა მოვლის კეთილმოწყობისა და აღჭურვილობის ნაკლებობა.

ქალები შეიძლება გახდნენ ფიზიკური და/ან სიტყვიერი სექსუალური შევიწროების მსხვერპლნი ისეთი გარემოებების შედეგად რომლებიც დაკავშირებულია სპორტულ პროგრამებში მონაწილეობასთან, მაგალითად სპორტული სივრცეების მდებარეობის ან დღის მონაკვეთის და დროის გამო.

სპორტში შეინიშნება მისაბაძი ქალების მაგალითის ნაკლებობა, მათ შორის მწვრთნელი ან „ლიდერი“ ქალების ნაკლებობა. ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილნი სპორტული დაწესებულებების გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში.

გენდერული თანასწორობა განვითარების ფუნდამენტური მიზანია და ეკუთვნის ძირითად და საყოველთაოდ აღიარებულ სამოქალაქო, კულტურულ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ უფლებებს. ზოგადად, მსოფლიოს გარშემო, ქალები უფრო იშვიათად მონაწილეობენ სპორტულ აქტივობებში, ვიდრე კაცები. სპორტს შეუძლია ხელი შეუწყოს გონებრივ და ფიზიკურ კეთილდღეობას და კვლევებმა აჩვენა, რომ ის ამცირებს შემდგომში ქრონიკული დაავადებების რისკს. ამგვარად, სპორტი როგორც გოგოებისთვის, ასევე ბიჭებისთვის უნდა წახალისდეს. ქალები ასევე ნაკლებად არიან წარმოდგენილნი სპორტული დაწესებულებების გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში. ქალების გაზრდილი მონაწილეობა გაამრავალფეროვნებდა ადმინისტრატორების, მწვრთნელებისა და ოფიციალური პირების წარმომადგენლობას.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების გენდერული ანალიზი

მუნიციპალიტეტის ხედვით, „მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალერულად ერთად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას.ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი,ისე ფიზიკური თვალსაზრისით)განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს სპორტული და კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას,წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობასდა შესაბამისი პირობების შექმნას,რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ სპორტული შესაძლებლებობის გამოვლენა.”

ბიუჯეტში, პრიორიტეტის მისაღწევად 6 პროგრამა და 8 ქვეპროგრამაა განსაზღვრული.

პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
05 00	**კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი**	**2885,0**	**2785,0**	**2785**	**2785,0**
05 01	**სპორტის სფეროს განვითარება**	**720,2**	**720,2**	**720,2**	**720,2**
05 01 01	სპორტული სკოლის ხელშეწყობა	580,0	580,0	580,0	580,0
05 01 02	სპორტული ღონისძიებები	140,2	140,2	140,2	140,2
05 02	**კულტურის სფეროს განვითარება**	**1757,8**	**1757,8**	**1757,8**	**1757,8**
05 02 01	კულტურული დაწესებულებების ხელშეწყობა	926,5	926,5	926,5	926,5
05 02 02	სახელოვნებო დაწესებულების ხელშეწყობა	246,8	246,8	246,8	246,8

05 02 03	საბიბლიოთეკო სამსახურის ხელშეწყობა	229,5	229,5	229.5	229,5
05 02 04	კულტურული ღონისძიებები	355	355,0	355,0	355,0
05 03	**რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა**	**200,0**	**100**	**100**	**100**
0504	**ინიციატივების თანადაფინანსება**	**2**	**2**	**2.0**	**2.0**
05 05	**ახალგაზრდობის მხარდაჭერა**	**160,0**	**160,0**	**160,0**	**160,0**
05 05 01	**წარჩინებული სტუდენტებისა და წარმატებული სპორტსმენების წახალისება**	**110,0**	**110,0**	**110,0**	**110,0**
05 05 02	**ნიჭიერი ახალგაზრდობის ხელშეწყობა**	**50,0**	**50,0**	**50,0**	**50,0**
05 06	**საგამომცემლო საქმიანობა**	**45,0**	**45,0**	**45,0**	**45,0**

ცხრილი #5. წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. დმანისის მუნიციპალიტეტის ასიგნებები 2024-2027 წელი (ათასი ლარი)

საშუალოვადიანი პერიოდისათვის, ყველაზე მეტი პროცენტული წილით კულტურის სფეროა დაფინანსებული, რომლის ფარგლებშიც ყველაზე მეტი დაფინანსება კულტურული დაწესებულებების ხელშეწყობაზე მიიმართება, სპორტის დაფინანსება პრიორიტეტის ფარგლებში მეორე ადგილზეა, რომლის ფარგლებშიც სპორტული სკოლის ხელშეწყობაზე მიიმართება ძირითადი ნაწილი. პრიორიტეტის ფარგლებში მესამე პოზიციაზეა ახალგაზრდობის მხარდაჭერის ღონისძიებები.

გენდერულ ჭრილში რამდენიმე პროგრამა და ქვეპროგრამაა გამოსაყოფი. კერძოდ, მათ უმეტესობაში გათვალისწინებულია გენდერული ასპექტები. კერძოდ:

- პროგრამა „სპორტის სფეროს განვითარების პროგრამა“ (05 01) მიზნად ისახავს სპორტის სფეროს განვითარებით, თანასწორი შესაძლებლობების შექმნას, გენდერულად სენსიტიური თუ სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის, მათ შორის შშმ პირებისათვის, სპორტის საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. შედეგად კი გაიზრდება სპორტის ხელმისაწვდომობა;
- ქვეპროგრამა „სპორტული სკოლის ფუნქციონირების ხელშეწყობა“ (05 01 01) აღწერილობით ნაწილში მოიცავს გენდერულად ჩაშლილ სტატისტიკას, კერძოდ: „ა(ა)იპ „ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტული სკოლა“ უზრუნველყოფს სპორტული სექციების მუშაობას სპორტის 12 სახეობის მიმართულებით.სკოლას აქვს სექციები სოფლებში: გომარეთი, ვარდისუბანი, განთიადი. სპორტსკოლაში დასაქმებულია 22 თანამშრომელი, რომელთაგან 4 ქალბატონია და 18 მამაკაცი. მოქმედებს შემდეგი სპორტული წრეები: ძიუდოს 4 წრე. ფეხბურთის 3 წრე, ქართული ჭიდაობის - ჭიდაობა სამბოს, თავისუფალი ჭიდაობის, ჭადრაკის, კიკბოქსინგის 2, მაგიდის ჩოგბურთის, მკლავჭიდის, ძალოსნობის, ფრენბურთის. ამ წრეებს ემსახურება 15 მწვრთნელი. წრეებში გაერთიანებული არიან სხვადასხვა ასაკობრივი სპორტსმენები 6-დან 18 წლამდე. სკოლაში რიცხულია 205 ბენეფიციარი 34 გოგონა და 171 ჭაბუკი. სკოლა გეგმავს და განახორციელებს ღონისძიებებს ცხოვრების ჯანსაღი წესის მიმართულებით და ხელს უწყობს მის დანერგვასა და პოპულარიზაციას, ხელს უწყობს წარმატებულ სპორტსმენებს, მათ მწვრთნელებს და ახორციელებს მათ წახალისებას. ასეე უზრუნველყოფს ცენტრში და სოფლის წრეებში მოსიარულეთა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობას, როგორც ქვეყნის შიგნით , ისე ქვეყნის გარეთ“;
- ქვეპროგრამა „სპორტის სფეროს განვითარება“ (05 01 02), რომლის როგორც მიზანი, ასევე აღწერილობითი ნაწილი მოიცავს გენდერულ ასპექტებს: „მიზანი: სპორტის საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში დაგეგმილია საზოგადოების ყველა წევრის, მათ შორის ქალების, კაცების, შშმ პირების და სხვადასხვა

ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელი მოსახლეობის ინტერესის გათვალისწინებით, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება. ამასთან, მასობრივი სპორტის განვითარების გზით სპორტის სხვადასხვა სფეროს პოპულარიზაცია, ცნობიერების კამპანიების წარმოება. მუნიციპალიტეტში ჩატარდება ტურნირები და სახელობითი თასის შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობებში, აღინიშნება ევროპის სპორტის კვირეული. დაიგეგმება სხვადასხვა აქტივობები სპორტის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით. ამასთან, დაფინანსდება სასკოლო სპორტული ოლიმპიადები, სასკოლო ლიგა სადაც მუნიციპალიტეტის მასშტაბით ყველა სკოლის მოსწავლე იქნება ჩართული, წარმატებულ სპორტსმენებთან ჩატარდება შეხვედრები და უზრუნველყოფილი იქნება მათ მიერ გამართულ მასტერკლასებზე ახალგაზრდების მაქსიმალური ჩართულობა. განსაზღვრული ბიუჯეტი მოხმარდება ფორმების, თასების, სიგელებისა და სხვა სპორტული ინვენტარის შეძენას. ხელი შეეწყობა ნაკლებად ცნობადი თუ ცნობადი სპორტის სახეობების, მაგალითად ფეინთბოლის, ფეხბურთის პოპულარიზაციას, როგორც გოგონებში, ასევე ბიჭებში და სხვა“.

- პროგრამა „კულტურის სფეროს განვითარება“ (05 02) შედეგად განსაზღვრულია, რომ „ხელშეწყობილია კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგების პოპულარიზაცია და უზრუნველყოფილია კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ყველა წარმომადგენლის (შშმპ, ქალები, კაცები და ა.შ) ჩართულობა“;
- ქვეპროგრამა 05 02 01 „კულტურული დაწესებულებების ხელშეწყობა“ მიზანში, აღწერაში და შედეგში მოიცავს გენდერულ ასპექტებს. კერძოდ: ქვეპროგრამის ერთ-ერთი მიზანია „დმანისის მუნიციპალიტეტში კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა და მოსახლეობის, მათ შორის ქალების, კაცების, გოგონებისა და ბიჭების, შშმ პირების და სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელი პირების, განსაკუთრებით ახალგაზრდობისა და მოზარდების ჩართულობის უზრუნველყოფა ხალხურ შემოქმედებაში, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული კოლექტივების, სახელოვნებო და სხვა წრეების საქმიანობაში“, აღწერილობით ნაწილში ვკითხულობთ, რომ „სტუდიებში დღეისათვის დადის 289 მოსწავლე (აქედან 189 გოგონა, 100 ბიჭი). ცენტრში დასაქმებულია 81 თანამშრომელი (43 ქალი, 33 კაცი.) 81 პოზიციაზე (ადმინისტრაცია, სტუდიების ხელმძღვანელები, ანსამბლების წევრები და სხვ.), აქედან 23 შტატიანი და 58 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული თანამშრომელი“, შედეგად კი „უზრუნველყოფილია კულტურისა და ხელოვნების ცენტრის შეუფერხებელი ფუნქციონირება და ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის შექმნილია ხელოვნების სხვადასხვა სფეროს შესწავლის შესაბამისი პირობები“;
- ქვეპროგრამა „სახელოვნებო დაწესებულების ხელშეწყობა“ (05 02 02) აღწერილობით ნაწილში მოიცავს სქესის მიხედვით ჩაშლილ მონაცემებს, კერძოდ, ვკითხულობთ, რომ „სამუსიკო სკოლაში განათლებას იღებს 66 მოსწავლე (8 ბიჭი და 59 გოგონა). ცენტრში სულ 18 მოსწავლეა (6 ბიჭი და 12 გოგონა), აქედან 2 აზერბაიჯანელია, 1 ბერძენი, ხოლო 15 ქართველი. სოფელ განთიადის ფილიალში ასევე 18 მოსწავლეა (1 ბიჭი და 17 გოგონა), აქედან 5 აზერბაიჯანელია, ხოლო 13 ქართველი, სოფელ ვარდისუბნის ფილიალში 29 მოსწავლეა (1 ბიჭი და 28 გოგონა). სამუსიკო სკოლაში მომუშავე პერსონალი (ადმინისტრაცია და პედაგოგები) 16 ადამიანისაგან (15 ქალი, 1 მამაკაცი) შედგება“. შუალედურ მოსალოდნელ შედეგად კი „უზრუნველყოფილია სამუსიკო სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირება, ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის ხელმისაწვდომია მუსიკალური განათლების მიღება, კონკურსებში, ფესტივალებსა და კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობა“. ერთ-ერთი ინდიკატორი ასევე მოიცავს სქესის მიხედვით ჩაშლილ მონაცემებს;
- ქვეპროგრამა „კულტურული ღონისძიებები“ (05 02 04) აღწერილობით ნაწილში მოიცავს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის, ახალგაზრდობის დღის აღნიშვნას, ასევე მოსახლეობის გარკვეული ჯგუფისათვის სასაჩუქრე პაკეტების შეძენა/წახალისებას, ისეთ სახალხო თუ საეკლესიო

დღესასწაულებთან დაკავშირებით როგორიცაა: შობა-ახალი წელი (150 სოც. შეჭირვებული ოჯახისთვის პროდუქტების სასაჩუქრე პაკეტი, ასევე, 50 სასაჩუქრე კალათა), აღდგომა (150 სოც. შეჭირვებული ოჯახისთვის პროდუქტების სასაჩუქრე პაკეტი, 50 სასაჩუქრე კალათა), ნოვრუზ ბაირამი (150 ოჯახისთვის პროდუქტების სასაჩუქრე პაკეტი, ასევე, 15 ღვაწლმოსილი, საზოგადოებისათვის პატივსაცემი პიროვნება), დედის დღე და ქალთა დღე (50 ქალბატონისთვის სასაჩუქრე კალათა), პოლიციის დღე (სასაჩუქრე სუვენირები) და სხვა".

გარდა აღნიშნული პროგრამებისა და ქვეპროგრამებისა, გაეროს მდგრადი განვითარების მე-5 მიზანი ასევე მითითებულია ისეთ პროგრამებსა და ქვეპროგრამებში, რომლებიც არ ითვალისწინებს გენდერულ ასპექტებს. კერძოდ: პროგრამა „სპორტის სფეროს განვითარება" (05 01), ქვეპროგრამა „სპორტული სკოლის ხელშეწყობა" (05 01 01); ქვეპროგრამა „სპორტული ღონისძიებები" (05 01 02).

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

სფეროს გენდერული მნიშვნელობა

გენდერზე პასუხისმგებლიანი ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის განვითარება გადამწყვეტია არა მხოლოდ ძირითადი სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდისა და დედათა სიკვდილიანობის შემცირების, არამედ გოგოებისა და ქალების უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. როდესაც ჯანდაცვის დაწესებულებების დიზაინი ვერ პასუხობს ქალთა სპეციფიკურ საჭიროებებს, ამან შეიძლება გამოიწვიოს ქალების მიერ დაწესებულებებში მისვლაზე უარის თქმა. მაგალითად, სამშობიარო კლინიკებმა, რომლებიც არ უზრუნველყოფენ ცალკეულ სანიტარიულ ობიექტებს და მშობიარობის ოთახებს, შესაძლოა ვერ მიიზიდონ მომავალი დედები მათი უსაფრთხოების ან კონფიდენციალურობის შიშის გამო. შემდეგ ქალებს შეუძლიათ აირჩიონ მშობიარობა სახლში, რამაც შეიძლება გაზარდოს როგორც მათი, ასევე ახალშობილის ჯანმრთელობის რისკები.

ჯანდაცვის ინფრასტრუქტურა გენდერულად პასუხისმგებლიანია, თუ ის ითვალისწინებს ისეთ მოთხოვნილებებს, როგორიცაა კონფიდენციალურობა, ჰიგიენა და უსაფრთხოება. სამედიცინო დაწესებულებების მდებარეობა შეთავსებადი უნდა იყოს საზოგადოებრივ ტრანსპორტთან, საცალფეხო ბილიკებთან და ველოსიპედის მარშრუტებთან. ჯანდაცვის დაწესებულებების დიზაინი უნდა მოიცავდეს კონკრეტული სივრცეების გამოყოფას, რათა უზრუნველყოფილი იყოს არა მხოლოდ პაციენტების, არამედ ვიზიტორებისა და პერსონალის კონფიდენციალურობაც. ზოგიერთ კულტურულ კონტექსტში, კაცებისა და ქალებისთვის შეიძლება საჭირო გახდეს ცალკე შენობები ან შესასვლელებიც. დაწესებულების დიზაინში ასევე უნდა იყოს გათვალისწინებული ქალებისა და კაცებისთვის განკუთვნილი ცალკეული გასახდელები და საერთო ოთახები. უფრო მეტიც, ზოგიერთ კონტექსტში შეიძლება საჭირო გახდეს სტაციონარული მოვლის საშუალებების გამოყოფა სქესის და ასაკის მიხედვით, როგორიცაა სველი წერტილები. ეს აუმჯობესებს უსაფრთხოებას და კონფიდენციალურობას და ამცირებს გენდერული ძალადობის შემთხვევებს. გარდა ამისა, უნდა იყოს უზრუნველყოფილი ადეკვატური მოსაცდელები ბავშვთა მოვლის ოთახებით, რადგან ბევრ ქალს ჰყავს ბავშვი, რომელიც თან ახლავთ სამედიცინო დაწესებულებებში.

სოციალური დაცვის სისტემები, რომლებიც ითვალისწინებენ გენდერულ რისკებს და უზრუნველყოფენ მხარდაჭერას სიღარიბის, დაუცველობის ან კრიზისის სიტუაციებში, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქალებისა და კაცების დაცვაში სიღარიბისა და დაუცველობისგან. ეს სისტემები ეხმარება მათ გაუმკლავდნენ რისკებს და გადალახონ დაბრკოლებები.

კარგად შემუშავებული და განხორციელებული სოციალური დაცვა აღიარებს და ეხება ქალებისა და გოგოების ცხოვრების ციკლის სპეციფიკურ გადასვლებს და რისკებს და ქალთა გამოცდილების

მრავალფეროვნებას, რომლებსაც ხშირად ემატება დისკრიმინაციის მრავალი და ურთიერთდამოკიდებული ფორმები. ახალგაზრდა ასაკში გოგოები აწყდებიან ბარიერებს ხარისხიანი განათლების მიღებაში, მათ შორის საშინაო სამუშაოებში ჩართულობით. მოზარდი გოგოები ადრეული ორსულობისა და სკოლის მიტოვების რისკის ქვეშ არიან. ქალები უფრო ხშირად მუშაობენ, არასტაბილურ და არაფორმალურ სამუშაოებზე ვიდრე კაცები და ამასთანავე, იტვირთებიან არა ანაზღაურებადი სამუშაოთი, ოჯახზე ზრუნვით,რის შედეგადაც ექმნებათ დაბრკოლებები ანაზღაურებად სამუშაოში. ეს სასიცოცხლო ციკლის მოწყვლადობა გროვდება და იზრდება დროთა განმავლობაში, შედეგად კი წარმოიქმნება ხარვეზები სოციალური დაცვის მიღებისას.

კარგად შემუშავებულმა სოციალური დაცვის სისტემებმა შეიძლება შეამციროს: - მცირეწლოვანი ბავშვებისა და მოზარდების შინამეურნეობებისთვის რეგულარული, ადეკვატური ტრანსფერებისა და სერვისების მიწოდებასთან დაკავშირებული სირთულეები, სიღარიბის თაობათაშორისი გადაცემის რისკი; რეპროდუქციული ასაკის გოგონებისა და ქალების, მათ შორის ორსული ქალებისა და გოგონებისა და ახალბედა დედებისთვის ადეკვატური დაცვის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული პრობლემები; - მშობლის ანაზღაურებადი შვებულების მიღებასთან დაკავშირებული დაბრკოლებები ისევე როგორც ზრუნვაზე ერთობლივი პასუხისმგებლობის არ არსებობა - სოციალური დაცვის შეღავათებისა და ხარისხიანი საჯარო სერვისების არასაკმარისი დაფარვა ქალების სამუშაო ცხოვრების მანძილზე და სიბერემდე, მათ შორის არაფორმალური, დაბალანაზღაურებადი და არასტაბილური სამუშაოს მქონე ადამიანებისთვის.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების გენდერული ანალიზი

მუნიციპალიტეტის ხედვით, „მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით უზრუნველყოფას.”

ბიუჯეტში, პრიორიტეტის მისაღწევად 2 პროგრამა და 10 ქვეპროგრამა da 14 ღონისძიებაა განსაზღვრული.

პროგრამული კოდი	**დასახელება**	**2024 წელი**	**2025 წელი**	**2026 წელი**	**2027 წელი**
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1683,5	1693,3	1706,2	1730,7
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	118.3	130.1	143,0	157.5
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა ა(ა)იპ "დმანისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"	118.3	130.1	143	157.5
06 02	სოციალური დაცვა	1565,2	1563,2	1357.2	1573,2
06 02 01	მძიმე დიაგნოზის მქონე და სხვადასხვა სოციალური ფენის მოსახლეობის სოციალური დაცვა (ავდამყოფთა სოციალური დაცვა)	574,4	579,4	579,4	579,4
06 02 01 01	ავთვისებიანი სიმსივნითა და C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა ფინანსური მხარდაჭერა	300,0	300,0	300,0	300,0
06 02 01 02	დიალიზის საჭიროების მქონე პირების დახმარება	24,0	24,0	24,0	24

06 02 01 03	ფენილკეტონურიით და გლუტენის ავადმყოფობით (ცელიაკია) დაავადებულ ბავშვთა სპეციფიკური კვების პროდუქტებით დახმარება	15	18,0	18,0	18
06 02 01 04	მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირების დახმარება	72,0	72,0	72,0	72,0
06 02 01 05	მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა	15	15	15	15
06 02 01 06	18 წელს გადაცილებულ შშ ქალთა და 18 წლამდე შშ მქონე პირთა სოციალური დაცვა	52.4	52.4	52.4	52.4
06 02 01 07	მარჩენალდაკარგული,დედმამით ობოლი ბავშვების სოციალური დახმარება	26	26	26	26
06 02 01 08	ბავშვთა/რეაბილიტაციის ქვეპროგრამაში ჩართული 0-18 წლამდე შშმ სტატუსის მქონე არასრულწლოვანი, ბავშვიანი ოჯახების ქირით უზრუნველყოფის 2024 წლის ქვეპროგრამა.	18	18	18	18
06 02 01 09	„ოჯახში ძალადობის აღკვეთის,ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების (ქირით უზრუნველყოფის) ქვეპროგრამა.	18	18	18	18
06 02 01 10	ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის,დღის ცენტრის და ადრეული განვითარებისცენტრში რეგისტრირებული 0-18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის ბვშვების ყოველთვიურისოციალური დახმარების ქვეპროგრამა	24	24	24	24
06 02 01 11	კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვებიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა.	10	12	12	12
06 02 02	ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით საწვავით (სათბობის შეშით ან ბიოსაწვავი, ბრეკეტით") უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამა	64	64	64	64
06 02 03	სოციალურდ დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონალური, ამბულატორიული დახმარების მუნიციპალური პროგრამა ოპერაციების ხარჯები	500	500,0	500,0	500,0

06 02 03 01	აუტიზმის სპექტრის აშლილობათა მქონე ბავშვების რეაბილიტაციის მხარდაჭერა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა	400	400	400	400
06 02 03 02	აუტიზმის სპექტრის აშლილობათა მქონე ბავშვების რეაბილიტაციის სოციალური დახმარების პროგრამა	20	20,0	20,0	20,0
06 02 03 03	მოქალაქეთა მედიკამენტებით და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა»	80	80	80	80
06 02 04	სარიტუალო მომსახურება (ომის ვეტერანები)	1	1	1	1
06 02 05	მზრუნველობა მოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა ა(ა)იპ "დმანისის სათნოების სახლი"	227,0	227,0	227,0	227,0
06 02 06	ტრანსპორტით მომსახურების მუნიციპალური პროგრამა	148.8	148.8	148.8	148.8
06 02 07	მოქალაქეთა ერთჯერადი დახმარებები (სარეზერვო)				
06 02 08	ხანდაზმულთა შინმოვლისა და ჯანსაღი დაბერების პროგრამა (თანადაფინანსება	30	30	30	30
06 02 09	ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების ქვეპროგრამა მათთვის დასაქმებისა და სამეწარმეო უნარების და გენდერულ საკითხებზე ცნობიერების გაზრდის გზით	20	25	25	25

ცხრილი #6. წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. დმანისის მუნიციპალიტეტის ასიგნებები 2024-2027 წელი (ათასი ლარი)

გენდერულ ასპექტში აღსანიშნავია ქვეპროგრამა „ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების ქვეპროგრამა მათთვის დასაქმებისა და სამეწარმეო უნარების და გენდერულ საკითხებზე ცნობიერების გაზრდის გზით“ (06 02 09), რომლის მიზანია „დმანისში მცხოვრებ და რეგისტრირებულ ქალთა სოციალური და ეკონომიკური უფლებების რეალიზების ხელშეწყობა, რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდით და საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდების გზით“, რაც შეეხება შედეგებს, ქვეპროგრამის მიხედვით, „ქალებს აქვთ შესაბამისი ცოდნა მათი სოციალური და ეკონომიკური უფლებების შესახებ; გაუმჯობესებულია ბიზნესის წამოწყების და მართვისთვის საჭირო ცოდნა და უნარები; ქალებისთვის ხელმისაწვდომია ბიზნესის განვითარებისთვის საჭირო ფინანსური რესურსი;ბიზნეს საქმიანობაში ახლად ჩართული ქალებისთვის გაზრდილია სხვადასხვა მხარდამჭერ მომსახურებებზე ხელმისაწვდომობა“.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თავისი შინაარსით აღნიშნული ქვეპროგრამა არის არა სოციალური, არამედ ეკონომიკური შინაარსის მატარებელი და უმჯობესია ის იყოს ასახული „ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის“ (07 00) პრიორიტეტის ფარგლებში, ასევე მისი განმახორციელებელი იყოს არა მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური, არამედ ეკონომიკურ პოლიტიკაზე პასუხისმგებელი უწყება.

რაც შეეხება სხვა პროგრამებსა და ქვეპროგრამებს, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საკითხები გენდერულად მნიშვნელოვანია, როგორც პრიორიტეტში, ასევე არც პროგრამებსა და მათ ქვეპროგრამებში არ არის განხორციელებული გენდერული მეინსტრიმინგი და შესაბამისად არ არის გათვალისწინებული გენდერული ასპექტები.

ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა

სფეროს გენდერული მნიშვნელობა

გენდერს მნიშვნელოვანი როლი აქვს ეკონომიკის სფეროში და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. გენდერული თანასწორობა ძლიერ, პოზიტიურ გავლენას ახდენს მთლიან შიდა პროდუქტზე (მშპ) ერთ სულ მოსახლეზე, რომელიც დროთა განმავლობაში იზრდება. გენდერული თანასწორობის გაუმჯობესება გამოიწვევს დამატებით 10,5 მილიონი სამუშაო ადგილის შექმნას 2050 წელს, რაც სარგებელს მოუტანს როგორც ქალებს, ასევე მამაკაცებს. ამ სამუშაოების დაახლოებით 70%-ს ქალები დაიკავებენ, თუმცა ქალებისა და კაცების დასაქმების მაჩვენებლები გრძელვადიან პერსპექტივაში უთანაბრდება ერთმანეთს და მიაღწევს დასაქმების 80%-ს 2050 წლისთვის. ქალების მიერ დაკავებული ახალი სამუშაოები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მათ შეუძლიათ სიღარიბის შემცირება. ქალები, ზოგადად, უფრო ხშირად განიცდიან სიღარიბეს, ვიდრე მამაკაცები, დაბალი დასაქმებისა და ხელფასის პერსპექტივის გამო. შესაბამისად, დასაქმება ამცირებს ქალთა სიღარიბის რისკს (EIGE, 2016).

ქალებისთვის საერთო ბარიერია კრედიტზე და ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, რაც ხელს უშლით ბიზნესის წამოწყებასა და განვითარებაში. მეწარმე ქალებსა და კაცებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებებია მათი ფინანსური პირობების და სექტორების მიხედვით. საბანკო სესხები ტრადიციულად მრავალი ბიზნესის დაფინანსების გზაა, მაგრამ საბანკო სექტორის პოლიტიკის შეცვლის შედეგად, ეს გზა მცირდება დროთა განმავლობაში (ევროპის ცენტრალური ბანკის კვლევის მიხედვით). მიუხედავად იმისა, რომ არ არის გათვალისწინებული სქესის მიხედვით დაყოფა და ქალებიც და კაცებიც სესხების მსგავსი შემცირების წინაშე დგანან, ბოლო კვლევები ვარაუდობენ, რომ კრედიტისა და ფინანსების ხელმისაწვდომობის ბარიერები უფრო მაღალია ქალებისთვის. ამის მიზეზებს შორისაა ტრადიციული გირაოს ნაკლებობა (როგორიცაა მიწა ან ქონება, რომელიც ხშირად მამაკაცების სახელზეა რეგისტრირებული), ქალების დაბალი შემოსავლის დონე კაცებთან შედარებით და ფინანსური ინსტიტუტების უუნარობა რომ შეიმუშავონ შესაბამისი პროდუქტები და თანამშრომლობის სტრატეგიები ქალებისთვის.

ზოგიერთი კვლევა ასევე მიუთითებს, რომ ქალების „ორმაგმა ტვირთმა“ (სამუშაო და ოჯახური ვალდებულებები) და სხვა სოციალურმა ვალდებულებებმა შეიძლება უფრო იზოლარებული გახადონ ისინი, ვიდრე მეწარმე კაცები, ურთიერთობებისა და თანამშრომლობის ჩამოყალიბებისთვის არასაკმარისი დროის გამო. მეწარმე ქალებმა, რომლებიც ორგანიზებას უწევენ ბიზნეს ქსელებს, შეიძლება მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ კულტურული ფიგურებისა და მისაბაძი მოდელების შექმნაში. ამგვარად, მეწარმე ქალებს შეუძლიათ გადასცენ ცოდნა და ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მოგვარდა პრობლემები და როგორ გაუმკლავდნენ გარკვეულ გარემოებებს. ინფორმაციისა და ცოდნის გაცვლამ და სფეროს უფრო სიღრმისეულად გაცნობამ შესაძლოა შეამციროს მეწარმეობასთან დაკავშირებული რისკები.

ტურიზმი არის სექტორი, რომელმაც შექმნა მრავალი სამუშაო შესაძლებლობა როგორც კაცებისთვის, ასევე ქალებისთვის. ეს ტურიზმს მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს ინდუსტრიად აქცევს. ქალთა ჩართულობა ტურიზმში მნიშვნელოვანი კომპონენტია, იქედან გამომდინარე რომ ტურიზმში სამუშაო ძალის უმრავლესობას ქალები შეადგენენ. UNWTO-ს მონაცემების თანახმად, ქალები წარმოადგენენ ამ სექტორში დამსაქმებელთა საერთო რაოდენობის 54%-ს. რაც შეეხება ლიდერულ პოზიციებს, აქ ქალების

წარმომადგენლობა გაცილებით დაბალია. ეს დასტურდება მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის კვლევებით, რომლითაც აღმასრულებელი დირექტორიების მხოლოდ 10%-ია ქალი, და ასევე ქალები შეადგენენ უმაღლესი მენეჯმენტის მხოლოდ 15%-ს.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების გენდერული ანალიზი

მუნიციპალიტეტს პრიორიტეტად არ აქვს გამოყოფილი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა, შესაბამისად არც პროგრამები/ქვეპროგრამები არ აქვს განსაზღვრული.

მიგნებები და რეკომენდაციები

მიგნებები

კვლევისა და ანალიზის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი მიგნებები:

- ვინაიდან გენდერული ბიუჯეტირება პროგრამული ბიუჯეტირების შემადგენელი ნაწილია, დასახვეწია ბიუჯეტის პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიასთან შესაბამისობის საკითხი, ეს ეხება როგორც თავად საკრებულოს დადგენილების დამტკიცებული ბიუჯეტის ფორმატს, ასევე მის პროგრამულ და კაპიტალურ დანართებს;
- გამჭვირვალეობის თვალსაზრისით აღსანიშნავია ის, რომ ბიუჯეტის პროგრამული და კაპიტალური დანართები საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის;
- პოლიტიკის დოკუმენტები, მ.შ. პრიორიტეტების დოკუმენტი არ მოიცავს გენდერულ ასპექტებს, შესაბამისად პრიორიტეტების ფარგლებში არ არის გამოკვეთილი გენდერული მიზნები;
- გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამები უნდა შედგეს პრიორიტეტის მიზნების მისაღწევად, პროგრამები, მისი შესაბამისი ქვეპროგრამები არ არის გენდერულად მგრძნობიარე, მათ მიზანში, აღწერაში, შედეგსა თუ ინდიკატორში არ არის გათვალისწინებული გენდერული ასპექტები;
- ცალკეულ შემთხვევებში პროგრამებსა და ქვეპროგრამებში ხვდებით გენდერულ სტატისტიკას, რაც არ არის გამოყენებული გენდერული ინდიკატორების შესამუშავებლად;
- ცალკეულ შემთხვევებში პროგრამაზე/ქვეპროგრამაზე მითითებულია, რომ ის ემსახურება გაეროს მდგრადი განვითარების მე-5 მიზნის მიღწევას, მაგრამ შესაბამისი პროგრამის/ქვეპროგრამის მიზნებში, აღწერაში, შედეგსა თუ ინდიკატორში გენდერული ასპექტები გათვალისწინებული არ არის;
- აღსანიშნავია ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების ქვეპროგრამა, რომელიც თავისი მიზნებიდან გამომდინარე ემსახურება გენდერულ თანასწორობას, მაგრამ ქვეპროგრამა მიუხედავად თავისი შინაარსისა, განხილულია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ქვეშ, სოციალური დაცვის პროგრამის შემადგენელ ქვეპროგრამად და მისი განმახორციელებელი არის მერიის ჯანმრთელობის, სოციალური და ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური;

რეკომენდაციები

მუნიციპალიტეტში გენდერული ბიუჯეტირების იმპლიმენტაციის უზრუნველსაყოფად:

მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ხელისუფლებას - მერიას

- სიტუაციური ანალიზის საფუძველზე განხორციელდეს შესაბამის სექტორებში (ინფრასტრუქტურა, ეკონომიკა, ჯანმრთელობის დაცვა, სოციალური დაცვა, განათლება და სხვ) გენდერული საკითხების იდენტიფიცირება. აღნიშნულის ფარგლებში შესწავლილ უნდა იქნას თუ როგორია სიტუაცია როგორც ქალების, ასევე კაცებისათვის იმ სექტორში, რომლის გაანალიზებაც ხორციელდება, როგორია მათი ინტერესები, საჭიროებები, პრიორიტეტები, არსებობს თუ არა რამე სახის განსხვავება ქალებისა და კაცების საჭიროებებს შორის, რომელიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, როგორია არსებული უთანასწორობა ქალებსა და კაცებს შორის განსაკუთრებით კი გენდერულად მგრძნობიარე საკითხებთან მიმართებაში;
- შეგროვდეს ინფორმაცია იმ პროგრამების შესახებ, რომელთა გაანალიზებაც უნდა განხორციელდეს. მ.შ. ყურადღება გამახვილდეს იმაზე, თუ რამდენად არის გათვალისწინებული ისეთი სპეციფიკური მიზნები, რომლებიც ფოკუსირებულია ქალების ან/და კაცების მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, რა სახის სტატისტიკა არის ხელმისაწვდომი პროგრამის განხორციელების, განსაკუთრებით კი სამიზნე ჯგუფების და ბენეფიციარების შესახებ;
- ჩატარდეს გენდერული ანალიზი, რომლის ფარგლებშიც უნდა განხორციელდეს გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული არსებული უთანასწორობის და გამოწვევების გამოყოფა, საჯარო სერვისების და აქტივობების ბენეფიციარების და მომხმარებლების ანალიზი, საჯარო სერვისების მომხმარებელი ქალებისა და კაცების კმაყოფილების ანალიზი, საჯარო სერვისების და სხვა აქტივობების იმპლიმენტაციის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზი, საჯარო აქტივობების გენდერულ თანასწორობაზე გავლენის ანალიზი;
- განხორციელდეს აქტივობების შესაბამისი საბიუჯეტო ასიგნებების გენდერული ანალიზი;
- შემუშავდეს გენდერული თანასწორობის გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი მიზნები და რეკომენდაციები;
- მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალების და კაცების სპეციფიკური საჭიროებების შესწავლისა და გენდერული თანასწორობის გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული მიზნებისა და რეკომენდაციების საფუძველზე განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები პოლიტიკის დოკუმენტებში - სტრატეგიებში, სამოქმედო გეგმებში და პოლიტიკის სხვა დოკუმენტებში;
- შემუშავდეს საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი ე.წ. MDD (Medium Development Document), საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის N264 განკარგულებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის სახელმძღვანელოს“ შესაბამისად და მაშ გათვალისწინებულ იქნას გენდერული ასპექტები;
- მუნიციპალიტეტის მერიაში გამოყოფილი გენდერზე პასუხისმგებელი პირის სამუშაო აღწერილობაში ძალიან დეტალურად განისაზღვროს გენდერთან დაკავშირებული შესაბამისი უფლება-მოვალეობები;
- მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტისა და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის მომზადება/განახლების, დასაგეგმის საბიუჯეტო წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადების მიზნით მერიის ე.წ. 1 მარტის ბრძანებით განსაზღვრულ სამუშაო ჯგუფში სასურველია ჩაერთოს მერიის გენდერზე პასუხისმგებელი პირი, ასევე კონსულტაციის მიზნით საჭიროების შემთხვევაში მოწვეულ იქნას შესაბამისი დარგის (გენდერის) სპეციალისტი;
- ე.წ. 1 მარტის ბრძანებაში სასურველია იყოს მოცემული შემდეგი ჩანაწერი: „გენდერული ბიუჯეტირების დანერგვის მიზნით, შესაბამისმა სამსახურებმა, მერიის გენდერზე პასუხისმგებელ პირთან კოორდინაციით უზრუნველყონ მათ მიერ განსახორციელებელი პროგრამების/ქვეპროგრამების კავშირების იდენტიფიცირება გენდერულ ჭრილში. აღნიშნული

კავშირები ასახონ პრიორიტეტების დოკუმენტში, საშუალოვადიან სამოქმედო გეგმასა და ბიუჯეტის პროგრამულ დანართში“;

- მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტში ცალკეული პროირიტეტების ფარგლებში გენდერული თანასწორობის მიზნით გასატარებელი მიზნებიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის საშუალოვადიან სამოქმედო გეგმასა და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტში შემუშავებულ პროგრამებში/ქვეპროგრამებში: - აღწერა და მიზანში მკაფიოდ გამოიკვეთოს პროგრამის/ქვეპროგრამის მიზანი გენდერული თანასწორობის მიღწევაში, - მოსალოდნელ საბოლოო/შუალედურ შედეგში ცალკე გამოიყოს გენდერული თანასწორობის მიზნით მოსალოდნელი შედეგი, - ხოლო შედეგების შეფასების ინდიკატორებში გამოიყოს მინიმუმ ერთი გენდერული ინდიკატორი და მასზე მოხდეს როგორც საბაზისო, ასევე მიზნობრივი მაჩვენებლის, ცდომილების ალბათობის და შესაძლო რისკების მითითება;
- გენდერული ინდიკატორი უნდა იყოს სასარგებლო, შედეგზე ორიენტირებული, ნათელი და გაზომვადი, შესაბამისი და მიღწევადი, შედარებითი. არ უნდა იქნას გამოყენებული ისეთი სიტყვები, როგორებიც არის „გაზრდა“, „გაუმჯობესება“, „სრულყოფა“, ვინაიდან აღნიშნული არ შეიცავს ზომის ერთეულს და შეუძლებელია მონიტორინგის განხორციელება;
- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში წარმოდგენილ იქნას ინფორმაცია პრიორიტეტის ფარგლებში გენდერული თანასწორობის მიზნით დასახული მიზნების და შესაბამისი პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში მიღწეული შედეგების შესახებ, შესაბამისი მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორების მითითებით;
- მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტში ცალკე პრიორიტეტად განისაზღვროს ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა პროგრამული კოდით 07 00 და მის ფარგლებში შემუშავდეს ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების ქვეპროგრამა, განსაკუთრებული აქცენტით ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალების გაძლიერებაზე, პროგრამის განმახორციელებლად კი განისაზღვროს მერიის ეკონომიკურ პოლიტიკაზე პასუხისმგებელი უწყება;
- მერიაში გენდერზე პასუხისმგებელი პირის ჩართულობით სასურველია მომზადდეს საბიუჯეტო პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის შესახებ ანგარიში, რომელიც სასურველია თან დაერთოს ბიუჯეტის პროექტს. ანგარიშში ინფორმაცია წარმოდგენილ იქნას გენდერულ ჭრილში;
- მერიაში გენდერზე პასუხისმგებელი პირის კოორდინაციით, საბიუჯეტო პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის პროცესში, მ.შ. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით ადგილობრივ მოსახლეობასთან კონსულტაციების დროს განსაკუთრებულად უზრუნველყოფილ უნდა იქნას შეხვედრებში მონაწილეთა შორის გენდერული თანასწორობა, კერძოდ, როგორც ქალების, ასევე კაცების ჩართულობა და მათი საჭიროებების გამოვლენა;
- განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს სფეროების მიხედვით გენდერული სტატისტიკის წარმოებას, კერძოდ: მერიაში გენდერზე პასუხისმგებელი პირის კოორდინაციით და ჩართულობით მოხდეს გენდერული სტატისტიკის წარმოება, მ.შ. გენდერული სტატისტიკა მუნიციპალიტეტის სამსახურებში დასაქმებულების შესახებ განთავსდეს მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე;
- სოფლის მხარდაჭერის პროგრამაში განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდეს ქალთა ინიციატივების გათვალისწინებაზე.

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ხელისუფლებას - საკრებულოს

- წარმომადგენლობით ორგანოში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის განხილვის დროს მაქსიმალურად იქნას უზრუნველყოფილი მუნიციპალიტეტში მცხოვრები როგორც ქალების, ასევე

კაცების და ცალკეული მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლების თანაბარი ჩართულობა; განხორციელდეს მონიტორინგი და შეფასება იმისა, თუ რამდენად ასახავს წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი მათ საჭიროებებს;

- წარმომადგენლობით ორგანოში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების განხილვის დროს მაქსიმალურად იქნას უზრუნველყოფილი მუნიციპალიტეტში მცხოვრები როგორც ქალების, ასევე კაცების და ცალკეული მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლების თანაბარი ჩართულობა მათთვის ბიუჯეტის შესრულების თაობაზე შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების მიზნით;
- საბიუჯეტო პროცესში გენდერულ მეინტრიმინგში ჩართული უნდა იყვნენ როგორც გენდერული საბჭოს, ასევე საფინანსო ორგანოს და ცალკეული სფეროების წარმომადგენლები/სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები და ყველა სფეროს წამყვანი თანამდებობის პირები;
- გენდერული თანასწორობის საბჭოს ორგანიზებით გენდერთან და გენდერულ ბიუჯეტირებასთან დაკავშირებით მოხდეს საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე ჩართული შესაბამისი პირების ცნობიერების ამაღლება;
- მუნიციპალიტეტი მიუერთდეს „ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ“;
- საკრებულოს კომისიებმა, მ.შ. გენდერული თანასწორობის საბჭომ ბიუჯეტის პროექტის და მისი თანდართული დანართების განხილვისას დარგობრივი კომპეტენციის ფარგლებში მოახდინოს სექტორული პროგრამების გენდერული ანალიზი, შესაბამისი რეკომენდაციები ასახოს მერიისათვის წარსადგენ საბჭოს დასკვნაში;
- საკრებულოს კომისიებმა, მ.შ. გენდერული თანასწორობის საბჭომ ბიუჯეტის წლიური ანგარიშის და მისი თანდართული დანართების განხილვისას დარგობრივი კომპეტენციის ფარგლებში მოახდინოს სექტორული პროგრამების გენდერული ანალიზი, შესაბამისი რეკომენდაციები ასახოს კომისიის დასკვნაში;
- მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭომ ყოველწლიურად მოამზადოს ბიუჯეტის გენდერული ანალიზის დოკუმენტი. სასურველია ანგარიში მომზადდეს როგორც ბიუჯეტის პროექტის, ასევე ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიშზე;
- მუნიციპალიტეტმა, მ.შ. შესაძლებელია გენდერული თანასწორობის საბჭომ, საკუთარი ან დონორი ორგანიზაცის ჩართულობით უზრუნველყოს გენდერული აუდიტის ჩატარება გარე ორგანიზაციის/ექსპერტების მიერ;
- დაინერგოს მუნიციპალიტეტში თემატური მოკვლევის მექანიზმი და გენდერული თანასწორობის საბჭომ, შესაძლებელია დარგობრივ კომისიასთან კოორდინაციით, უზრუნველყოს თემატური მოკვლევის ჩატარება შერჩეულ საკითხზე;
- მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭომ ხელი უნდა შეუწყოს გენდერული გავლენის შეფასების როგორც ex-ante, ასევე ex-post მექანიზმის (Gender Impact Assessment – GIA) დანერგვას მუნიციპალიტეტში და შერჩეულ საკითხზე მოამზადოს გენდერული გავლენის შეფასების დოკუმენტი;
- მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა საკრებულოში კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ განმარტებითი ბარათის შესაბამის ქვეპუნქტს, რომელშიც ასახულია „გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება“.
- გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის მხარდასაჭერად და შესაბამისი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად შემუშავდეს და ბიუჯეტში აისახოს

პროგრამა/ქვეპროგრამა „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა“; პროგრამა/ქვეპროგრამა შეიძლება ჩაიშალოს ან 01 00 პრიორიტეტის ან 06 00 პრიორიტეტის ქვეშ; პროგრამის/ქვეპროგრამის განმახორციელებელი უნდა იყოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო; პროგრამა/ქვეპროგრამა უნდა შემუშავდეს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესაბამისად; პროგრამას/ქვეპროგრამას უნდა გამოეყოს შესაბამისი ასიგნებები; გენდერული თანასწორობის ხელშეწყობაზე გამოყოფილი ასიგნებები უნდა განიკარგოს მერიის საფინანსო სამსახურთან, შესყიდვების სამსახურთან, საჭიროების შემთხვევაში ასევე იურიდიულ სამსახურთან კოორდინაციით და თანამშრომლობით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. პოლიტიკის დოკუმენტი „გენდერული ბიუჯეტირების გამოწვევები საქართველოში მუნიციპალურ დონეზე“. ავტორი შორენა კახიძე
2. დამხმარე სახელმძღვანელო დოკუმენტი მუნიციპალიტეტებისათვის გენდერულ ბიუჯეტირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ავტორი შორენა კახიძე.
3. სახელმწიფო ბიუჯეტის გენდერულ ჭრილში. გენდერული მნიშვნელოვნების ინდექსი. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი.
4. სახელმწიფო ბიუჯეტის გენდერული ანალიზი. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი.
5. “ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის გენდერული ზეგავლენის ანალიზი. საქართველოს პარლამენტი.
6. სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობა. პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო.
7. გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები. 2021. პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო.
8. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გენდერული პოლიტიკის შეფასება. საქართველოს სახალხო დამცველი.
9. მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შეფასება. საქართველოს სახალხო დამცველი. 2022 წელი.
10. გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება საქართველოში. ლიკა ჯალაღანია. თამარ დეკანოსიძე.
11. გენდერული მეინსტრიმინგი საქართველოს მიერ აღიარებული ვალდებულებებისა და მათი შესრულების სტატუსის მომიხილვა. სახალხო დამცველი.
12. „ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფცია“. საქართველოს პარლამენტი.
13. „საქართველოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია“. საქართველოს პარლამენტი.
14. Gender Responsive Budgeting: Analysis of Budget Programmes from Gender Perspective. UN Women. 2016
15. Gender budgeting: practical implementation. Handbook. Sheila Quinn. 2009
16. Gender Budgeting in OECD countries. OECD. Ronnie Downes, Lisa von Trapp and Scherie Nicol
17. GENDER EQUALITY AND INCLUSIVE GROWTH: Economic Policies to Achieve Sustainable Development. UN Women. Edited by Diane Elson and Anuradha Seth.
18. Gender Budgeting: Fiscal Context and Current Outcomes. IMF. by Janet G. Stotsky
19. Gender Budgeting in G20 Countries. IMF. Virginia Alonso-Albarran, Teresa Curristine, Gemma Preston, Alberto Soler, Nino Tchelishvili, and Sureni Weerathunga
20. OECD Toolkit for Mainstreaming and Implementing Gender Equality. OECD.

დანართი

პრიორიტეტში, პროგრამასა და ქვეპროგრამაში გენდერული ასპექტების გათვალისწინების მაჩვენებელი 2024 წლის ბიუჯეტის მიხედვით

პროგრამული კოდი	**დასახელება**	**მიზანი**	**აღწერა**	**შედეგი**	**ინდიკატორი**	**მითითებულია SDG 5**
02 00	**ინფრასტრუქტურის განვითარება**					
02 01	**საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება**			**|**		
02 01 01	გზების მიმდინარე მოვლა-შენახვა					
02 01 02	გზების მშენებლობა რეაბილიტაცია					
02 02	**წყლის სისტემების განვითარება**					
02 02 01	სასმელი წყლის სისტემის ექსპლუატაცია (მოვლა-შენახვა)					
02 02 02	სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა რეაბილიტაცია					
02 03	**გარე განათება**					
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია					
02 03 02	გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახადი					
02 03 03	კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში					
02 04	**ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია**					
02 04 01	მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია					
02 04 02	ავარიული ობიექტების შენობების რეაბილიტაცია (ბინათმშენებლობა)					
02 04 03	ბინათმესაკუთრეობათა მონაწილეობა					
02 05	**კეთილმოწყობის ღონისძიებები**			**|**		
02 05 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია					
02 05 02	შადრევან-აუზების ექსპლოატაცია, რეაბილიტაცია					
02 05 03	სასაფლაოების მოწყობა მოვლა - პატრონობა, სარიტუალო ღონისძიებები					
02 06	**სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ღონისძიებები**					

02 07	**საპროექტო** **დოკუმენტაციისა** **და** **საექსპერტო** **მ ომსახურების** **შესყიდვა**					
03 00	**დასუფთავება** **და** **გარემოს** **დაცვა**					
03 01	**დასუფთავება** **და** **ნარჩენების** **გატანა**					
03 01 01	ა(ა)იპ დმანისის სერვის ჯგუფი					
03 02	**მწვანე** **ნარგავების** **მოვლა-პატრონობა, განვითარება**					
03 03	**კაპიტალური** **დაბანდებები** **დასუფთავების** **სფეროში**					
03 04	**უპატრონო** **ცხოველების** **მოვლითი** **ღონისძიებები**					
04 00	**განათლება**					
04 01	**სკოლამდელი** **აღზრდა**					
04 01 01	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ფუნქციონირება					
04 01 02	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია					
04 02	**პროფესიული** **განათლების** **ხელშეწყობა**					
04 02 01	საგანმანათლებლო ცენტრის ხელშეწყობა					
04 02 02	პრOფესიული სტუდენტთა ხელშეწყობა					
04 03	**საჯარო** **სკოლების** **დაფინანსება**					
04 03 01	სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირტით უზრუნველყოფა					
04 03 02	ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაცია					
05 00	**კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი**					
05 01	**სპორტის** **სფეროს** **განვითარება**					
05 01 01	სპორტული სკოლის ხელშეწყობა					
05 01 02	სპორტული ღონისძიებები					
05 02	**კულტურის** **სფეროს** **განვითარება**					
05 02 01	კულტურული დაწესებულებების ხელშეწყობა					
05 02 02	სახელოვნებო დაწესებულების ხელშეწყობა					
05 02 03	საბიბლიოთეკო სამსახურის ხელშეწყობა					
05 02 04	კულტურული ღონისძიებები					
05 03	**რელიგიური** **ორგანიზაციების** **ხელშეწყობა**					
0504	**ინიციატივების** **თანადაფინანსება**					
05 05	**ახალგაზრდობის** **მხარდაჭერა**					
05 05 01	წარჩინებული სტუდენტებისა და წარმატებული სპორტსმენების წახალისება					
05 05 02	ნიჭიერი ახალგაზრდობის ხელშეწყობა					
05 06	**საგამომცემლო** **საქმიანობა**					
06 00	**მოსახლეობის** **ჯანმრთელობის** **დაცვა** **და** **სოციალური** **უზრუნველყოფა**					
06 01	ჯანმრთელობის დაცვა					
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა ა(ა)იპ "დმანისის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"					
06 02	სოციალური დაცვა					

06 02 01	მძიმე დიაგნოზის მქონე და სხვადასხვა სოციალური ფენის მოსახლეობის სოციალური დაცვა (ავდამყოფთა სოციალური დაცვა)					
06 02 01 01	ავთვისებიანი სიმსივნითა და C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა ფინანსური მხარდაჭერა					
06 02 01 02	დიალიზის საჭიროების მქონე პირების დახმარება					
06 02 01 03	ფენილკეტონურიით და გლუტენის ავადმყოფობით (ცელიაკია) დაავადებულ ბავშვთა სპეციფიკური კვების პროდუქტებით დახმარება					
06 02 01 04	მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირების დახმარება					
06 02 01 05	მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა					
06 02 01 06	18 წელს გადაცილებულ შშ ქალთა და 18 წლამდე შშ მქონე პირთა სოციალური დაცვა					
06 02 01 07	მარჩენალდაკარგული,დედმამით ობოლი ბავშვების სოციალური დახმარება					
06 02 01 08	ბავშვთა/რეაბილიტაციის ქვეპროგრამაში ჩართული 0-18 წლამდე შშმ სტატუსის მქონე არასრულწლოვანი,ბავშვიანი ოჯახებისქირით უზრუნველყოფის 2024 წლის ქვეპროგრამა.					
06 02 01 09	„ოჯახში ძალადობის აღკვეთის,ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების (ქირით უზრუნველყოფის) ქვეპროგრამა.					
06 02 01 10	ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის,დღის ცენტრის და ადრეული განვითარებისცენტრში რეგისტრირებული 0-18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის ბვშვების ყოველთვიურისოციალური დახმარების ქვეპროგრამა					
06 02 01 11	კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვებიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა.					
06 02 02	ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით საწვავით (სათბობის შეშით ან ბიოსაწვავი, ბრეკეტით") უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამა					
06 02 03	სოციალურდ დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონალური, ამბულატორიული დახმარების მუნიციპალური პროგრამა ოპერაციების ხარჯები					
06 02 03 01	აუტიზმის სპექტრის აშლილობათა მქონე ბავშვების რეაბილიტაციის მხარდაჭერა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა					
06 02 03 02	აუტიზმის სპექტრის აშლილობათა მქონე ბავშვების რეაბილიტაციის სოციალური დახმარების პროგრამა					

06 02 03 03	მოქალაქეთა მედიკამენტებით და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა»					
06 02 04	სარიტუალო მომსახურება (ომის ვეტერანები)					
06 02 05	მზრუნველობა მოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა ა(ა)იპ "დმანისის სათნოების სახლი"					
06 02 06	ტრანსპორტით მომსახურების მუნიციპალური პროგრამა					
06 02 07	მოქალაქეთა ერთჯერადი დახმარებები (სარეზერვო)					
06 02 08	ხანდაზმულთა შინმოვლისა და ჯანსაღი დაბერების პროგრამა (თანადაფინანსება					
06 02 09	ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების ქვეპროგრამა მათთვის დასაქმებისა და სამეწარმეო უნარების და გენდერულ საკითხებზე ცნობიერების გაზრდის გზით.	I	I	I	I	I